აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი 25 (№174) • დეკემბერი 2015 წელი

გილოცავთ ბრბა-ახალ წელს!

გილოცავთ დამდეგ 2016 წელს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი თითოეული თქვენ-განისათვის, წარმატება და სიხარული მოეტანოს, ენერგიითა და იმედით აღსავსე-ნი ყოფილიყავით, რომ ერთად დავძლიოთ წინააღმდეგობები და ერთად გავხადოთ უკეთესი ჩვენი უნივერსიტეტი.

ბუნებრივია, საახალწლოდ მსგავსი სურვილები გვაერთიანებს. ჯანმრთელობას, პირად კეთილდღეობას, ხვავსა და ბარაქას გისურვებთ.

ღმერთს დაელოცოს ყველა გზა ჩვენი საშობლოსათვის, ქალაქისათვის, უნი-ვერსიტეტისათვის, ჩვენთვის.

უნივერსიტეტის რექტორი
გიორგი ღავთაძე

* * *

2 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა გაცვლითი პროგრამების პრეზენტაცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის, გერმანული ენის და ლიტერატურისა და ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებისათვის. პრეზენტაცია გააკეთა საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ასისტენტმა ანა ლოლუამ. მან სტუდენტებს აუხსნა, თუ რა შემთხვევაში შეეძლებათ სწავლის გაგრძელება ფრანგულ უნივერსიტეტებში, როგორ მოიპოვონ სტიპენტიები და დაფინანსება. პრეზენტაციის დასასრულს ანა ლოლუამ სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

* * *

10 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში გაიმართა აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის იშვიათ და უნიკალურ გამოცემათა ახალი კოლექციის პრეზენტაცია და გამოფენა. ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში. ღონისძიება აწსუ რექტორის მოადგილემ შალვა კირთაძემ გახსნა და მოკლედ ისაუბრა აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის უმდიდრესი წიგნადი ფონდის შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდნენ აწსუ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები და მოწვეული სტუმრები. პრეზენტაცია იშვიათ და უნიკალურ გამოცემათა ახალი კოლექციის შესახებ, გააკეთა აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი ჭიჭინაძემ. მანვე აღნიშნა, რომ კოლექციაში შედის უძველესი საეკლესიო ლიტერატურა, რომელიც 1500-1600 წლებით თარიღდება. უნიკალური გამოცემების კოლექციაში შედის აგრეთვე უძველესი ლიტერატურული ნაწარმოებები, ჟურნალები, სახალხო პოეზია. ღონისძიების დასასრულს, აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა სტუმრებს იშვიათი და უნიკალური გამოცემების ახალი კოლექცია დაათვალიერებინა.

* * *

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური დღეები - 2015 მან-სან-კანით დაიწყო. პროექტი აწსუ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ხორციელდება და მასში აწსუ 700-მდე სტუდენტია ჩართული. „სტუდენტური დღეები-2015“-ის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული, ინტელექტუალური, კულტურული და გასართობი ღონისძიება. მათ შორის: მან-სან-კანი, ფოტოკონკურსი, ფილმების ჩვენება, მხატვართა და პოეტთა კონკურსები, ესეების კონკურსი, ვიქტორინა, წიგნების განხილვა, სუდოკუ, დებატების კონკურსი, გოგონების ფეხბურთი, ფრენბურთი, მკლავჭიდი, ნარდი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა, დართსი, ბილიარდი, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა და სხვა. „სტუდენტური დღეები-2015“-ის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებათაგან გარკვეული ნაწილი უკვე ჩატარდა და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ: ჭადრაკი - გიორგი დანგაძე, ანა მარდალეიშვილი; ნარდი - ლევან ლომსიანიძე; შაში - დავით ანდღულაძე; ჩონგბურთი - რევაზ ხუბულავა, ლანა გოგოხია; ბილიარდი - ირაკლი სირბილაძე; გოგონათა ფეხბურთში გაიმარჯვა გუნდმა „Angels“; მკლავჭიდის გამარჯვებულები: ლეილა ქაშიბაძე, ნათია აბჟანდაძე, ოლიკო ორჯონიკიძე, ირაკლი კვირკვინია, მირიან ჯოხაძე, ბადრი სილაძე, გიორგი კოპალიანი, ბადრი სირაძე, რევაზ თევდორაძე, ჯუმბერ გახოკიძე, მურმან საკანდელიძე, გიორგი ლობჟანიძე, ლაშა ონიანი, ბექა გელოვანი, გელა ჯიბუტი, სულხან მემანიშვილი, თენგო სილაგაძე, ნუგზარ ენდელაძე, ავთანდილ ქებულაძე, ზურა ბელაძე. აწსუ სტუდენტურ „სტუდენტური დღეები - 2015“ ხელს უწყობს სტუდენტებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას, მოტივაციის გაზრდასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. „სტუდენტური დღეები - 2015“-ის დასკვნითი ღონისძიება 21 ნოემბერს, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა და მასში გამარჯვებულ მონაწილეებთან ერთად თეატრალური კვარტეტმა მიიღო მონაწილეობა.

რეიტინგით მაღალი-პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია!!

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობისა და პროფესორ-მასწავლებელთა განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით პერიოდულად ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მათ შორისაა სამეცნიერო კონფერენციებიც. 13-14 ნოემბერს უნივერსიტეტში ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ჩაატარა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე - ,,თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“, რომლის ინიციატორი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად (დეკნი-ალეკო ბაკურაძე; დეკანის მოადგილეები-ნუნუ ქიქოძე, ირაკლი შენგელია, მირანდა ლომინაშვილი) იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (უფროსი ნანა შონია. სპეციალისტები: ნანა შენგელია, თენგიზ კუპრაშვილი). კონფერენცია მიმდინარეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში და მისი ჩატარების მიზანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წარმოჩენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება იმერეთის გუბერნიასა და ქალაქის მერიასთან.

კონფერენციას ჰყავდა როგორც საინფორმაციო, ასევე ფინანსური მხარდამჭერი ორგანიზაციები: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია; ქუთაისის მერია; ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო (ფინანსური მხარდამჭერი); ჩეხეთის პრაღის აგრარული უნივერსიტეტის ტროპიკული აგრომეცნიერების ფაკულტეტი (ფინანსური მხარდამჭერი); არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ტურიზმი და რეალობა“ (საინფორმაციო მხარდამჭერი); საერთაშორისო ჟურნალები: ,,საჯარო ადმინისტრირება და მმართველობა“ და ,,საჯარო პოლიტიკა და მმართველობა“ .

7 ქვეყნის პროფესორ-მასწავლებლებისა და მონაწილე სტუმრების მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 105 სტატია. სამი ქვეყნის (პოლონეთი, ჰოლანდია და საქართველო) წარმომადგენელმა პლენარული სხდომა გახსნა მოხსენებებით, რომელთა თემატიკა ითვალისწინებდა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. ორი დღის განმავლობაში პარალერულ რეჟიმში მუშაობდა 7 სექცია (თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და სოციალურ-დემოგრაფიული პროცესები; ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფისა და მართვის აქტუალური საკითხები; ტურიზმის განვითარების ინოვაციური მიმართულებები; სამართალგანვითარების თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; ახალი საჯარო მმართველობა: გამოწვევები და პერსპექტივები; პიროვნებათაშორის ურთიერთობათა ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ასპექტები; საზოგადოებასთან ურთიერთობა და მასობრივ-კომუნიკაციური პროცესები).

კონფერენციით გათვალისწინებული ვორკშოფებით, რომელიც უნივერსიტეტის რეალობაში ინოვაციას წარმოადგენდა, დაინტერესდნენ როგორც უცხოელი სტუმრები, ისე თავდაცვის სამინისტრო და ქალაქის მერია. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ეს იყო პირველი ღია თანამშრომლობა და მონაწილეობა ამ ტიპის ღონისძიებებში. ვორკშოფი წარიმართა ოთხი მიმართულებით - უნივერსიტეტი და რეგიონული ინოვაციური სისტემა; ინტერპერსონალური კომუნიკაცია და ბიზნეს პროცესები; სამედიცინო ტურისტული პოტენციალის რეალიზების რეგიონული ასპექტები; რეგიონული ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება. მოდერატორების დახმარებით გამოიკვეთა პრობლემები და მისი გადაჭრის კონკრეტული გზები, ჩამოყალიბდა კონკრეტული წინადადებები, რეკომენდაციები, რომლებიც გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და გადაეგზავნებათა შესაბამის სამსახურებს.

კონფერენცია საზეიმო ვითარებაში დაიხურა ქალაქის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც სექციის ხელმძღვანელებსა და ვორკშოფის მოდერატორებს გადაეცათ სერთიფიკატები, ხოლო მოწვეული სტუმრებისათვის უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა მცირე კონცერტი.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან (რომლებიც წარმოადგენდნენ კონფერენციის ჩატარების ინიციატორსა და საორგანიზაციო კომიტეტი) მივიღეთ დაპირება, რომ კონფერენცია ჩატარდება ორწლიანი პერიოდულობითა და მეტი სიახლეებით.

უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრება დღითიდღე ვითარდება და ეხმიანება საზოგადოებრივი განვითარების ახალ გამოწვევებს. ბიზნესის, სამართლის და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტი აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს ყოველ ახალ საინტერესო ღონისძიებაში, რაც ხელს შეუწყობს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე სამეცნიერო ცხოვრების განვითარებას.

ნანა შენგელია

* * *

17 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და აწსუს ადმინისტრაციის მიერ მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია FAB LAB გაიხსნა. ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი ინოვაციების საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა. მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია აწსუ რექტორმა გიორგი ღავთაძემ გახსნა და აღნიშნა, რომ მსგავსი თანამედროვე ტიპის ლაბორატორია საქართველოში მხოლოდ ილიას უნივერსიტეტს აქვს, დღეს გაიხსნა აწსუ-ში და გაიხსნება ბათუმში. FAB LAB-ის გახსნას აწსუ კანცლერი კახა კუპატაძე, ლაბორატორიის მეთეჯერი გიორგი ჩაჩუა, ტექნიკური მეთეჯერი თემურ სახელაშვილი, აწსუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ოკრიბელაშვილი და სტუდენტები, ასევე ქუთაისის მეცხრე საჯარო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ესწრებოდნენ. მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის გახსნის მიზანი კრეატიული იდეების გენერირება, გამოგონებებისა და საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნაა, რომელიც წაახალისებს საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ციფრული და კომპიუტერული ტექნიკით, უახლესი დაზგა-დანადგარებითშ 3D პრინტერებით, 3D სკანერით, ლაზერული მჭრელით, GNC ჩარხით, ვაკუუმ ფორმირების აპარატით, ტექსტილისა და ფაიფურის თერმოაპარატებითა და სხვა ტექნიკით. FAB LAB-ის ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლია, როგორც აწსუ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ასევე ნებისმიერ ინოვატორ ადამიანს, სკოლის მოსწავლეებს, სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს და აწსუ პარტნიორ სამრეწველო დაწესებულებებს. ლაბორატორიაში მათ შეუძლიათ შექმნან ინოვაციური პროდუქტის საცდელი პირველადი პროტოტიპები, დაამზადონ საცდელი პარტიები და საფუძველი ჩაუყაროს საკუთარი StartUp კომპანიების მშენებლობას.

* * *

17 ნოემბერი გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეა. ამ დღეს, ტრადიციულად, აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველკურსელებთან ერთად ჭყვიშში, გალაკტიონის სახლ მუზეუმში აღვნიშნავთ და სიმბოლურია ის, რომ მომავალ სპეციალისტებს სწორედ აქ გადაეცემათ სტუდენტის ბილეთები. ტრადიცია წელსაც გაგრძელდა უნივერსიტეტის რექტორატის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის მხარდაჭერითა და ბატონი ლუკა დვალიშვილის ხელმძღვანელობით პირველკურსელმა სტუდენტებმა მოინახულეს გალაკტიონის, ტიციანის სახლ მუზეუმები, ვანის ნოქალაქევი, ნიკო ნიკოლაძის სახლ მუზეუმი...

* * *

18 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საერთაშორისო განათლების ცენტრის ინიციატივით, მოეწყო ამერიკული უნივერსიტეტების წლის ყველაზე დიდი ონლაინ გამოფენა. სტუდენტებმა ონლაინ რეჟიმში მოისმინეს ინფორმაცია ამერიკის უნივერსიტეტებისა და ზოგადად ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ. ამასთან, მათ საშუალება მიეცათ პირადად გასაუბრებოდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, დაესვათ კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიეღოთ კომპეტენტური პასუხები.

* * *

18 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურმა ფაკულტეტმა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოოქიის დეპარტამენტმა პირველკურსელებს სტუდბილეთები გელათის სამონასტრო კომპლექსში გადასცეს. ცერემონიალს აწსუ რექტორი გიორგი ღავთაძე, რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე, პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი ვლადიმერ ადეიშვილი, ფაკულტეტის წარმომადგენლები, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის წევრები და სტუდენტები ესწრებოდნენ. პირველკურსელი სტუდენტებისათვის და მოწვეული სტუმრებისათვის, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებმა ლიტერატურულ-კომპოზიციური ღონისძიება ჩაატარეს. რექტორმა, პროორექტორმა და დეკანმა სტუდენტებს საზეიმოდ გადასცეს სტუდბილეთები.

* * *

18 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებს სტუდბილეთები საზეიმოდ გადასცეს. ღონისძიებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლები, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო ნიჟარაძე, დეპარტამენტის წევრები და სტუდენტები ესწრებოდნენ. ცერემონიალი პირველკურსელი სტუდენტების მიერ ინგლისურ ენაზე გაკეთებულმა საკონცერტო კომპოზიციამ კიდევ უფრო გაალამაზა. ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებს ღონისძიებაზე საშუალება ჰქონდათ, ფაკულტეტთან არსებულ ინგლისური ენის კლუბში გაწევრიანებულიყვნენ.

* * *

19 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე: პროფესიული განათლება, გამოწვევები და პერსპექტივები. შეხვედრის მიზანი იყო უნივერსიტეტში პროფესიული საგნობრივი და მოდულური პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროფესიული სწავლების მასწავლებელთათვის პროფესიული განათლების სრულყოფის ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხსენებით წარსდგა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტმა - თეა სიფრაშვილმა. სამუშაო შეხვედრას დაესწრო აწსუ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელები და მოდულური პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი.

* * *

21 ნოემბერს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული, შიდასაუნივერსიტეტო სტუდენტური დღეები საზეიმოდ დაიხურა. აწსუ რექტორმა გიორგი ღავთაძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კახა კუპატაძემ, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა გიორგი ოკრიბელაშვილმა, ვიცეპრეზიდენტებმა - ბესარიონ კახთელაძემ და ხატია კლდიაშვილმა სტუდენტური დღეების ეგიდით ჩატარებული, სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ თუ ინტელექტუალურ შეჯიბრში გამარჯვებულებს სერთიფიკატები და სპეციალური სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. აწსუ რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სტუდენტებს მადლობა გადაუხადეს სტუდენტური დღეების ასე მასშტაბურად და საინტერესოდ ჩატარებისათვის. თავის მხრივ, სტუდენტურმა თვითმმართველობამ აწსუ რექტორატისა და ადმინისტრაციის უდიდესი მხარდაჭერა და თანადგომა დააფასა. გამარჯვებულთა დაჯილდოების შემდეგ, გაიმართა თეატრალური კვარტეტის სოლო კონცერტი. როგორც თეატრალური კვარტეტის წევრებმა აღნიშნეს, ეს მათთვის კონცერტი კი არა, გამოცდის ჩაბარებაა ყველაზე გემოვნებიან მსმენელებთან.

* * *

26 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე დარბაზში გაიმართა დიდი ქართველი პედაგოგის, განმანათლებლისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა და კონფერენცია გახსნა ასოც. პროფესორმა ნინო გელენიძემ. მოხსენებები წარმოადგინეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის minor პროგრამის მე-2 და მე-3 კურსის სტუდენტებმა. ასევე, მე-9 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა შორენა გიორგაძემ.

* * *

26 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში, ტრადიციულად, გაიმართა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტთა საველე პრაქტიკების შემაჯამებელი კონფერენცია. საველე პრაქტიკა ჩატარდა სამხრეთ საქართველოსა და ტაო - კლარჯეთში (მე-2 კურსი). სტუდენტები გაეცნენ ვერტიკალური ბუნებრივი ვერტიკალური ზონალობის ცვალებადობის ბუნებრივ პირობებს, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკებიდან, მთის ალპური ზონით დამთავრებული. მესამე კურსის პრაქტიკა ჩატარდა მცხეთა - მთიანეთსა და კახეთში. ის იყო კომპლექსური ხასიათის. სტუდენტები გაეცნენ ფიზიკური და საზოგადოებრივი გეოგრაფიის საკითხებს. სტუდენტებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს საველე პრაქტიკის ამსახველი ფოტომასალა. მათ ნაშრომებს ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა.

* * *

26 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პირველკურსელებს, გელათის სამონასტრო კომპლექსში, უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ღავთაძემ საზეიმოდ გადასცა სტუდბილეთები. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, მაია გრძელიძე, დეკანის მოადგილე, ვახტანგ კვანტიძე, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, ციცინო თურქაძე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ნანა თხელიძე და ფაკულტეტის წარმომადგენლები. აწსუ საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის პირველკურსელები მამა იოანემ აკურთხა.

* * *

27 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამკითხველო დარბაზში, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტისა და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ორგანიზებით, გაიმართა შეხვედრა პოეტ ელგუჯა მარღიასთან. განიხილეს მისი ახალი წიგნი, ,,110 რობაი". მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: გია ხოფერია, ლუკა დვალიშვილი. წიგნის შესახებ საინტერესოდ ისაუბრეს: ომარ გვეტაძემ, ნინო ვახანიამ, მწერლებმა: ელგუჯა თავბერიძემ და გიზო თავაძემ, თავიანთი აზრი გამოთქვეს სტუდენტებმა: მიხეილ აბულაძემ და ანა ჯიქიამ. პოეტმა ელგუჯა მარღიამ წაიკითხა რობაიები. ღონისძიება შეაჯამა მწერალმა როსტომ ჩხეიძემ.

* * *

აწსუ სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ,,ქართული ეთნოგრაფიული სამოსის“ გამოფენაში, რომელიც 27 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში. ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით გაიმართა. გამოფენა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილმა. მასში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ პროფესიული კოლეჯების სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. აწსუ პროფესიული პროგრამის ,,ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების“ სტუდენტებმა (პროგრამის ხელმძღვანელი პროფ. ნ. დოლიძე) გამოფენაზე წარმოადგინეს ქართული ტრადიციული სამოსი – მამაკაცის ჩოხა და ქალის ტრადიციული რაჭული კოსტიუმი. გამოფენილმა ექსპონატებმა და აქსესუარებმა მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

* * *

30 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა ტრენინგ-სემინარი თემაზე: ,,როგორ გავაშუქოთ არჩევნები“. სემინარი გახსნა რეგიონალური მედია ასოციაციის პროექტების აღმასრულებელმა დირექტორმა, გაზეთ ,,P.S.'' – ის მთავარი რედაქტორმა, ნატო გუბელაძემ. . ტრენინგ - სემინარს ესწრებოდნენ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები. სემინარი წარმართა მოწვეულმა ტრენერმა, მედიაექსპერტმა, ეკა ფირცხალავამ. მან ფართოდ მიმოიხილა არჩევნების პროცესში ჟურნალისტების ჩართულობის, საარჩევნო კანონმდებლობისა და არჩევნების მონიტორინგის საკითხები. მუშაობის პროცესი წარიმართა აქტიური დიალოგის რეჟიმში და გამოყენებული იქნა როლური თამაშები. სემინარი ორგანიზებული იყო საარჩევნო სისტემების რეფორმების, განვითარებისა და სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის - რეგიონული მედია ანალგაზრდების საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისათვის - ფარგლებში და ემსახურებოდა ჟურნალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ამომრჩეველთა სამოქალაქო აქტივობის გაძლიერებას.

* * *

1 დეკემბერს, აწსუ მწვანე დარბაზში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის, კლინიკა ,,ბომონდისა“ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებაში ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს ორგანიზებით, ჩატარდა ერთობლივი აქცია, სისხლის სეროლოგიური ანალიზის გამოკვლევა აივ ვირუსსა და C ჰეპატიტზე. გაკეთდა მოხსენება ,, ერთად დავამარცხოთ შიდსი“ (მომხსენებელი, აწსუ კურსდამთავრებული ნათია ჩარიგოგდიშვილი). დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებაში ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს ცენტრის წარმომადგენელმა, დალი ქობულაძემ და მედიცინის ფაკულტეტის სპეციალისტმა, აკადემიურმა დოქტორმა, ციცინო ქარსელაძემ ამომწურავად უპასუხეს აუდიტორიიდან წამოსულ ყველა შეკითხვას. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკული ცენტრის ინფორმაციით, რეგიონში დაავადებულ ადამიანტა რიცხვმა იმატა. თუმცა გაუმჯობესდა ანტირეტროვირუსული მკურნალობის ხელმისაწვდომობა. 1988 წლის შემდეგ, ყოველ 1 დეკემბერს შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, რაც შიდსის პანდემიის მიმართ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

* * *

2 დეკემბერს, აწსუ რექტორმა, პროფ. გიორგი ღავთაძემ საინფორმაციო შეხვედრა გამართა აწსუ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელებთან. სხვა მნიშვნელოვან საკითხეთან ერთად უნივერსიტეტის პირველმა პირმა ისაუბრა ყველა სტუდენტისთვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე და მოუწოდა პირველკურსელებს უნივერსიტეტის ელექტრონულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე სახის პრეზენტაცია: საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების გაცნობის კუთხით ვრცელი ანგარიშით გამოვიდა საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის უფროსი, დავით გეგეჭკორი. მან სტუდენტებს შესთავაზა მონაწილეობა მიიღონ მთავრობათაშორის, უნივერსიტეტებსშორისსა და ,,ერაზმუს“) - ის გაცვლით პროგრამებში, მოიპოვონ ევროკომისიის მიერ დაწესებული სტიპენდიები და სრული ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლონ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების კოორდინატორმა, სალომე გოგიაშვილმა, პრეზენტაციაზე პირველკურსელებს გააცნო სამსახურის დანიშნულება და ფუნქციები, რომელიც 2013-14 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ფუნქციონირებს და სამომავლოდ გეგმავს ,,კარიერული განვითარების ცენტრის“ გახსნას, რაც დადებითად აისახება სტუდენტთა დასაქმების ხარისხზე. ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი ჭიჭინაძემ, პირველკურსელებს მიაწოდა ინფორმაცია ელექტრონული კატალოგის არსებობის შესახებ, წიგნების ელექტრონულად დაჯავშნის სერვისზე, სტუდენტებისთვის გუტენბერგის საძიებო სისტემის ხელმისაწვდომობასა და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების საძიებო სისტემებიდან სრული ტექსტების მოძიების შესაძლებლობის შესახებ. შეხვედრის დასასრულს აწსუ რექტორი დაინტერესდა, რამდენად გამართლდა პირველკურსელთა მოლოდინები უნივერსიტეტთან მიმართებაში და მოუწოდა, სწორად განსაზღვრონ საკუთარი შესაძლებლობები, რათა გონივრულად ისარგებლონ ყველა იმ სასარგებლო შეთავაზებით, რომელიც დღეს მათ მიმართ გაჟღერდა. შეხვედრა კითხვა - პასუხის რეჟიმში წარიმართა.

* * *

3 დეკემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, განმანათლებლის, ერის აღმზრდელისა და საზოგადო მოღვაწის, იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაყ სამეცნიერო შრომები წარმოადგინეს პედაგოგიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებმაბ მოწვეულმა სპეციალისტებმა, დოქტორანტებმა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწიგნობრისბ დედა ენისა და „ბუნების კარის ავტორის ფასდაუდებელ ღვაწლზე ისაუბრეს გამომსვლელებმა: განიხილეს მისი ეროვნული კონცეფცია, ასევე, ხალხურობის პრინციპი გოგებაშვილის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში. საინტერესო იყო მოხსენება იაკობისა და აკაკის მეგობრობის შტრიხებზებ იაკობის მოსაზრებებზე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ. კონფერენციაზე გაიმართა დოკუმენტური ფილმის - „იაკობ გოგებაშვილიბ ცხოვრება და მოქალაქეობა“ - ჩვენება.

* * *

3 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს რამდენიმე ღონისძიებით შეუერთდა:

აწსუ უწყვეტი განათლების ცენტრში გაიმართა დისკუსია თემაზე: ,,დიალოგი თანასწორობისთვის", რომელშიც მონაწილეობდნენ აწსუ სტუდენტები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები და შშმ პირები.

აწსუ მწვანე დარბაზში ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტების პოეზიის საღამო, პოეტ ანა ლორთქიფანიძის ლექსების კრებულის, ,,ცა იმედად", პრეზენტაცია;

აწსუ ადმინისტრაციული კორპუსის ფოიეში გაიმართა შშმ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ბენეფიციართა და ჭყონდიდის ეპარქიის - სუჯუნის წმინდა გიორგის დედათა მონასტრის, მარტვილის წმინდა ნინოს დედათა მონასტრის დედაოების ხელნაკეთი ნამუშევრებისა და ნახატების ერთობლივი გამოფენა-გაყიდვა. გამოფენაში მონაწილეობდნენ განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი თაირისი (ხელმძღვანელი ირინე აბდალაძე), ქუთაისის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრი (ხელმძღვანელი მაია ნუცუბიძე), თანაბარი ჩართულობის ცენტრი (ხელმძღვანელი დარეჯან ჩხიროძე), შშმ პირთა იმერეთის რეგიონალური ორგანიზაცია სრულფასოვანი ცხოვრებისათვის (ხელმძღვანელი მერაბ ქვარიანი), შშმ ბენეფიციართა დღის ცენტრი ვალენტინი (ხელმძღვანელი იზოლდა მანანთაძე). ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აწსუ რექტორმა, გიორგი ღავთაძემ, ქ. ქუთაისის მერმა, შოთა მურღულიამ, ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელმა ლიკა კილაძემ. ასევე მოწვეული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. ტრადიციულად, ღონისძიების ყველა მონაწილემ პოსტერზე ,,ჩვენ ერთნი ვართ" გააკეთა ხელმოწერა.

ამ დღის აღსანიშნავად, აწსუ ფოიეში ანსამბლებმა ,,ადილა" და ,,კოლხა" შეასრულეს რამდენიმე ნომერი. ღონისძიების ბოლოს, აწსუ ადმინისტრაციისაგან შშმ პირებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეხუთე წელია, რაც აღნიშნავს შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს.

* * *

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეუერთდა სოლიდარობის აქციას, რომელიც საფრანგეთში ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" მიერ მოწყობილი ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნას მიეძღვნაყ 13 დეკემბერს 1 თვე სრულდება პარიზის ტრაგიკული მოვლენებიდან. სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით მიმდინარეობდა სოლიდარობის კვირეული, რომელიც გაიხსნა პროფესორ დავით გეგეჭკორის მიერ აწსუ საკონფერენციო დარბაზში გამართული საჯარო ლექციით თემაზე: „საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოება". ლექციას დაესწრნენ აწსუ ლექტორ-მასწავლებლები და სტუდენტები. ინფორმირებულობა, განათლების დონის ამაღლება და უსაფრთხოების საშუალებების უპრეცედენტო მასშტაბებამდე აყვანა გლობალური ტერორიზმის პრევენციის საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული. ლექციამ მსმენელთა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურაყ აწსუ ადმინისტრაციული კორპუსის ფოიეში გამოფენილ ფოტოები, რომელზეც ასახულია ის გულწრფელი მწუხარება და თანადგომა, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მოქალაქეებმა გამოხატეს.

* * *

10 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში გაიმართა შეხვედრა დელტას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორთან. ტელბოტ ბრუქსთანყ ღონისძიებას ესწრებოდნენ აწსუ რექტორის მოადგილე, პროფესორი შალვა კირთაძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორ - მასწავლებლები და სტუდენტები. შეხვედრა ინტერაქტიული ხასიათის იყო.- საინფორმაციოს გარდა, მისი დანიშნულება გახლდათ აუდიტორიისთვის იმ ფართო შესაძლებლობების გაცნობა, რასაც იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიები. მათი გამოყენება გარემოს დაცვის ინოვაციურ პროექტებში შესაძლებლობას გვაძლევს. მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დაბინძურების რისკები, რაც ეკოსისტემის დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

* * *

10 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა ჯეოსელის სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ - მასწავლებლები და თანამშრომლები. საუბარი იყო მსოფლიო სიახლეებზე თანამედროვე ტექნოლოგიებში, მათი განვითარების ტენდენციებზე. ჯეოსელის აბონენტებს მიეცათ მითითებები, თუ როგორ გამოიყენონ ეს სიახლეები მაქსიმალურად ეფექტურად და ნარისხიანად, ნაკლები დანაკარგებით. ჯეოსელის მომსახურების სტანდარტების განვითარების სპეციალისტმა ოთო კალანდარიშვილმა და ჯეოსელის სოციალური მედიის კომუნიკაციების სპეციალისტმა ვაკო ქვაჩახიამ გააკეთეს პრეზენტაციები ახალი თაობის ტელეკომზე, სმარტფონსა და მობილურ ინტერნეტზე, სოციალურ მედიაზე. ჯეოსელ - ჰაბის პროექტის ფარლებში გაიმართა ვიქტორინა - გათამაშება. შეკითხვები შეეხო ინერნეტსა და სოციალურ მედიას. გამარჯვებულს გადაეცა სმარტფონი.

* * *

10 დეკემბერს სოლიდარობის კვირეულის ფარგლებშიბ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში საჯარო ლექცია გაიმართაყ საფრანგეთის საელჩოს ეგიდით აწსუ-ს მოწვეულმა სპეციალისტმა ესთერ თეიმ ლექცია წაიკითხა თემაზე - „ფრანგული კულტურა-ფრანგებისა და უცხოელების თვალით". აღნიშნული ლექციის თემას წარმოადგენდა ფრანგული კულტურაბ ხელოვნებაბ ლიტერატურა და სხვა. შეხვედრის ბოლოს, სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს შორის აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე მცირე დისკუსია მოეწყო.

* * *

10–13 დეკემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში, პროექტის ფარგლებში - „დრამა და თეატრალური პედაგოგიკა გერმანული ენის გაკვეთილებზე“ მიმდინარეობდა ტრენინგი, რომელიც მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურებოდა, პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: გერმანიის საელჩო, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ერთობლივ პროექტში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს გერმანული ენის მასწავლებლები. ტრენინგის მიზანი იყო რეგიონებიდან მოწვეული პედაგოგებისთვის გაეცნოთ უცხო ენის შესწავლის ინოვაციური მეთოდები. ტრენინგი მიჰყავდა ექსპერტებს გოეთეს ინსტიტუტიდან. მანანა ახალკაცსა და გიორგი გოგჩაიშვილს. პროექტის ხელმძღვანელები, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის დირექტორი ქუთაისში, დანა შლუხტმანი და გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მირანდა გობიანი, იმედოვნებენ, რომ აღნიშნული ტრენინგი ხელს შეუწყობს გერმანული ენის სწავლების თანამედროვე მათოდების დანერგვას დასავლეთ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

* * *

11 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დაარსებიდან 15 წლის იუბილე აღნიშნა. საიუბილეო ღონისძიებას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროფესორ-მასწავლებლები, კურსდამთავრებულები. სტუდენტები ქუთაისის მხატვართა კავშირისა და დ. კაკაბაძის სახელობის გალერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ. აწსუ რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი - ლუკა დვალიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები და კურსდამთავრებულები. საიუბილეო ღონისძიებაზე გამოიფინა აწსუ კურსდამთავრებულისბ მხატვარ ქრისტინე რობაქიძის ნამუშევრები. ორგანიზატორებმა ასევე წარმოადგინეს ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების 15 წლიანი ისტორიის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა

* * *

11 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში ფრანგი ხალხის სოლიდარობისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ აწსუ კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფ. ნინო ჩიხლაძე და ამავე დეპარტამენტის პროფესორ - მასწავლებლები. შეხვედრას სტუმრობდნენ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტისა და ქ. ქუთაისის საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები, მასპინძლები კი აწსუ მკითხველთა კლუბის წევრები იყვნენ. მათ წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია ,,ცხოვრება გრძელდება“, სადაც გაჟღერდა შესანიშნავი ფრანგული მუსიკა, ფრანგი პოეტების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ლირიკული ნიმუშები და მკითხველთა კლუბის წევრების მიერ ამ დღისათვის საგანგებოდ შექმნილი ლექსები. ღონისძიების ბოლოს, სოლიდარობის ნიშნად, ყველა მონაწილემ და სტუმარმა, სიმბოლურად, საფრანგეთის დროშის ფერებში ნაძვის ხის ფორმის ფლიპჩარტი მოხატა.

* * *

12 დეკემბერს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის ლაუზი (რეზო) ჭანიშვილის ვარსკვლავის გახსნა და შემოქმედებითი მოღვაწეობის 65 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ი.სუხიშვილისა და ნ.რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი; ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი რუსთავი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხა“; ქუთაისის სახელმწიფო ანსამბლი; ქართული ლეგენდა ანსამბლი „სამაია“; აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი; სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ნაერთები; აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი; აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ხორუმი“. აწსუ ქორეოგრაფიული ანსამბლი „კოლხა“ მაყურებლის წინაშე ცეკვა მთიულურით წარსდგა და დარბაზის აპლოდისმენტები დაიმსახურა უნაკლო შესრულებისათვის. რეზო ჭანიშვილის ვარსკვლავის გახსნას ესწრებოდა აწსუ რექტორი გიორგი ღავთაძე, რომელიც სიტყვით გამოვიდა და დამსახურებულ ქართველ ქორეოგრაფს შემოქმედებითი მოღვაწეობის 65 წლის იუბილე პირადად მიულოცა. კონცერტში მონაწილე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხას“ სამადლობელი სიგელი გადაეცა, ხოლო მისი ხელმძღვანელი ბატონი ედუარდ მურცხვალაძე ბრწყინვალების ორდენზე წარადგინეს. როგორც კოლხას ხელმძღვანელმა განაცხადა თავად ფაქტი, რომ ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ასეთ გრანდიოზულ ღონისძიებაში და ორგანიზატორებმაც აღიარეს მათი წარმატებული გამოსვლა, მისასალმებელია.

* * *

14 დეკემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში, აწსუ-ს მიერ ორგანიზებული კარიერის დღე ჩატარდა. ღონისძიება ჩეხეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის განათლების ხარისხის გაუმჯობესება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფარგლებში გაიმართა. კარიერის დღე აწსუ საგარეო ურთიერთობებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა დავით გეგეჭკორმა გახსნა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისათვის. ღონისძიებას აწსუ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა და აგრარული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორმა ლიდერმა სახელმწოფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა, წარმატებულმა ბიზნესმენებმა. მოეწყო საინფორმაციო კუთხეები, გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, პრეზენტაციები და დისკუსიები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები პირადად შეხვდნენ დამსაქმებლებს და მათგან მიიღეს ინფორმაცია პრაქტიკისა და დასაქმების შესახებ.

* * *

15 დეკემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე დარბაზში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამის ფარგლებში ჩატარდა აწსუ პროფესორ მასწავლებლების შეხვედრა ქუთაისის საჯარო სკოლების მეცხრე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ აწსუ რექტორის მოადგილე შალვა კირთაძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ირინე ფხაკაძე, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსი თეა ვალიშვილი, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანა შონია და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლები. მათ არგუმენტირებულად აუხსნეს ახალ თაობას, თუ რატომ უნდა გააგრძელონ სწავლა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამა ხორციელდება საქართველოს მეცნიერების და განათლების სამინისტროსა და სსიპ საგანამანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამახურის მიერ და მისი მიზანია მეცხრე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების,შესაძლებლობების,უნარების,ღირებულებების,გაცნობიერებასა და განვითარებაში; მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ; მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მასწავლებლის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა სამი პროფესია: ექიმი, ეკონომისტი და იურისტი. მოსწავლეთა გამოთქმული ინტერესების შესაბამისად გაიმართა აღნიშნული შეხვედრა. პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ექსკურსია საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

* * *

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი შეხვედრების ციკლი გრძელდება. ფაკულტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, შეფასების, გაუმჯობესებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადების კუთხით. 2015 წლის 16 დეკემბერს, აწსუ უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა რიგით მეცხრე შეხვედრა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ირმა გრძელიძემ გააკეთა ანგარიში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ქობულეთში განხორციელებული ღონისძიების შესახებ. შეხვედრის მიზანი იყო ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველოყოფის სამსახურების მიერ გაწეული სამუშაოების დროს გამოვლენილი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და ფაკულტეტებზე არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. შეხვედრაზე დასახელდა მიზეზები, რომლებიც, მონაწილეთა აზრით, ხელისშემშლელი ფაქტორებია საგნობრივი პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის. აღინიშნა, რომ მათ შესახებ ეცნობებოდა უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს; ასევე, გამოითქვა მოსაზრება საგნობრივი და მოდულური პროფესიული პროგრამების მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმის შემუშავების აუცილებლობის შესახებ.

* * *

აწსუ მედიცინის ფაკულტეტის არსებობის 20 წელი სტუდენტთა III კონფერენციით, „XXI საუკუნის მედიცინის მიღწევები, აღინიშნა. მასზე სტუდენტებმა წარმოადგინეს სამეცნიერო თემები, გაიმართა დისკუსია, გამარჯვებულები დასაჩუქრდნენ. დამდეგი შობა-ახალი წლის განწყობის შესაქმნელად გაიმართა საზეიმო წვეულება, რომელზეც ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა ერთად შეასრულეს ეროვნული ცეკვები, მსოფლიოჰიტები; გაიმართა გასართობი და ინტელექტუალური თამაშები, სპეციალურად ამ დღისთვის დაიდგა Flashmob და ჩაიწერა ფაკულტეტის სიმღერა. საღამოს გამარჯვებულებსა და ორგანიზატორებს ადმინისტრაციისგან სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. საღამო დაასრულა Dj Zapa - მ.

* * *

წინასაახალწლო განწყობაა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტრადიციულად, აწსუ ადმინისტრაციამ დამდეგი 2016 წელი მიულოცა ღვაწლმოსილ პროფესორებსა და თანამშრომლებს, რომელთა გაკვალულ გზას აგრძელებს დღევანდელი თაობა. იყო უამრავი თბილი სიტყვა და კვლავ და კვლავ მათთან თანამშრომლობის სურვილი. გამოითქვა მოსაზრებები, თუ როგორ დავხვეწოთ მეგობარ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა. წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი არქიტექტორების მიერ შემუშავებული აწსუ ბიბლიოთეკის ახალი შენობის პროექტი, რომლის მშენებლობაც მომავალ წელს იგეგმება. როგორც აწსუ რექტორმა, გიორგი ღავთაძემ აღნიშნა, განუზომელია ემერიტუსებისა და ღვაწლმოსილი პროფესორების წვლილი უნივერსიტეტის განვითარებისა და საზოგადოებაში მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულებების დამკვიდრების საქმეში.

ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის საზაფხულო სკოლა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი (იფდ) აქტიურად თანამშრომლობს ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლებთან. ყოველწლიურად იმართება კონფერენციები, საჯარო ლექციები, ინგლისელი და ამერიკელი მწერლების ნაწარმოებების თარგმანის კონკურსები და საზამთრო თუ საზაფხულო სკოლები, რომლებშიც მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმითა და ხალისით ერთვებიან.

გამონაკლისი არც წლევანდელი წელი გახლდათ. იფდ-მ ორგანიზება გაუკეთა ორკვირიან საზაფხულო სკოლას, რომლის განმავლობაშიც სკოლის მოსწავლეებს სახალისო და აქტიური ლექციები ჩაუტარდათ ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში უახლესი მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მოსწავლეებს საშუალება მიეცათ ინგლისური ენა გაიმტკიცებინათ და საკუთარი აზრი თამამად დაეფიქსირებინათ. იფდ-ს საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საზაფხულო სკოლის ლექციებს ქუთაისის სკოლების მოსწავლეების გარდა რეგიონის სკოლების მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. მოსწავლეთა ასეთი დიდი ინტერესი უდავოდ იფდ-ს მიერ წარმატებით განხორციელებული პროექტების დამსახურებაა.

საზაფხულო სკოლის თემატიკის შერჩევისას, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების ინტერესის სფეროს გათვალისწინება მოხდა. მოსწავლეებმა ინგლისურ ენაზე იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მოზარდებისა და მშობლების ურთიერთობა, სიყვარული, საოცნებო სკოლა და ა.შ. ინგლისური ლიტერატურის ლექციები კი ახალგაზრდა ადამიანის პრობლემას შეეხებოდა. ამიტომ გაინიხილეს ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, როგორიცაა უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „ჰამლეტი“, დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“, ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“, ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ და ა.შ.

გთავაზობთ, მოსწავლეების რამდენიმე კომენტარს, რომლებიც საზაფხულო სკოლის წარმატებით დასრულებაზე მეტყველებენ:

„ინგლისური ენის ნაწილი განსაკუთრებით სახალისო და საინტერესო იყო. ლექტორებმა მართლაც რომ საოცრად მომზიბლეს და თავიც ძალიან შემაყვარეს“.

„გაკვეთილები იყო ძალიან საინტერესო და ჩვენთვის გასაგები ენით მოთხრობილი, შერჩეული იყო ჩვენი ასაკისათვის შესაფერისი და საინტერესო ნაწარმოებები“.

„კარგი იყო, რომ სწავლასთან ერთად ვერთობოდით და ბევრი ახალი მეგობარი შევიძინეთ“.

„საზაფხულო სკოლის ლიტერატურის ნაწილში მომეწონა ლექტორების მიერ საინტერესოდ ახსნილი სხვადასხვა ნაწარმოებები, წარმოდგენილი ფოტოებით, ვიდეოებითა და სხვადასხვა მასალებით, რომლებიც თვალსაჩინოდ პროექტორით იყო ნაჩვენები“.

„ინგლისური ენის ნაწილში სასიამოვნო აღმოჩნდა ჩემთვის სხვადასხვა თემების განხილვა და მათზე მუშაობა“.

„ძალიან მოგვეწონა პერსონაჟებისა და ნაწარმოებების განხილვა, ასევე პარალელების გავლება სხვა ნაწარმოებებთან“.

„წასაკითხი წიგნების სია შევადგინე და მივამატე ის წიგნები, რომლის წაკითხვასაც არ ვაპირებდი რომ არა საზაფხულო სკოლის ლიტერატურის ნაწილი“.

„Everything - every single part of it! აბსოლუტურად - honestly“!

ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი კვლავ გეგმავს საზაფხულო სკოლის ორგანიზებას. იმედი გვაქვს, მომავალი ზაფხულიც ხალისიანი, ნაყოფიერი და მოსწავლეებისთვის სასარგებლო იქნება.

დოქტორანტი
თამთა ამირანაშვილი

ჩვენი ენის საუნჯე

ამ სიტყვა-გამოთქმებს ათწლეულების მანძილზე ვკრეფდით, ძირითადად იმერეთსა და რაჭ-ლეჩხუმს შორის მოქცეულ „კლდეაღმართად“ წოდებულ რიონის ხეობის სოფლებში. რა თქმა უნდა, დიდძალი მასალის ყველა სიტყვა-ერთეული თანაბარი ღირებულებისა ვერ იქნება, მაგრამ ძირითადი ფონდი კი ნამდვილად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია (არ გამოვდევნებივართ ლიტერატურული ლექსიკისაგან მხოლოდ მცირეოდენი ფონეტიკური სხვაობებით წარმოდგენილ ფორმებს), რადგან ამ დიალექტიკური სიტყვების გარკვეულ ნაწილს არც მოეძებნება ზუსტი ლიტერატურული შესატყვისი და, ამდენად, განსაკუთრებული ღირებულება გააჩნიათ. მეტწილს კი, გამომსახველობისა და ნიუანსობრივი დატვირთულობის თვალსაზრისით, ნამდვილად აქვს უფლება, იარსებოს როგორც სიტყვა-სინონიმმა.

შეუძლებელია ამ სიტყვა-თქმათა ერთი რიგი მაინც სხვა კუთხეებშიც არ დასტურდებოდეს, ზოგ მათგანს წავაწყდით კიდეც დიალექტიკურ ლექსიკონებში, მაგრამ იქვე „გაუხმაურებლად“ ჩარჩენილთ. ჩვენი მიზანი კი ერთია - როგორმე მათთვის „სამოქმედო არეალის“ გაფართოება. გზის გაკაფვა ლიტერატურული ქართულისაკენ (რის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც, მითუმეტეს დღეს, როცა ჩვენს ენას ნამდვილად არ ულხინს, ზედმეტად მიგვაჩნია). თუ ეს ერთეულ შემთხვევაში მაინც მოხერხდება, შრომას გამართლებულად ჩავთვლით.

ჩვენეული მასალების უკეთესი ნიმუშები პერიოდულად დაიბეჭდება „ქუთაისის უნივერსიტეტში“. საკითხის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მისი მკითხველი აუდიტორიაც დაინტერესდება, მხარს აგვიბამს, გაგვაცნობს თავის სათქმელს, რომ თუნდაც მცირეოდენი წვლილი შევიტანოთ ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეში.

ონისე ბანძელაძე

ადამობას - ოდესღაც, უხსოვარ დროს. 1. ეს ვაზი ადამობასაა ჩაყრილი. 2. ვიღას ემახსოვრება ეს ადამობისდროინდელი ამბავი.

ეს სიტყვა დღეს იშვიათად, ხანდაზმულთა მეტყველებაშიღა ისმის (მისი ზუსტი შესატყვისია კ. გამსახურდიას რომანებში გამოყენებული „კაცისობას“, თუმცა, სამწუხაროდ, ფართო გავრცელება ვერც ამ მშვენიერმა სიტყვამ, ჰპოვა.

აწიწილაკებს - აქუცმაცებს, წვრილ-წვრილ ნაწილებად ჰყოფს. 1.რამდენად გავაწიწილაკო ეს ერთი ნაჭერი ყველი. 2.იმდენი ვაწიწილაკე ჩემი პენსია, აქამდე ვიმყოფინე.

გაგვიგონია სიტყვა „წიწილაკიც“ პატარას, მცირეს, სუსტის მნიშვნელობით. 1.იმნაირი წიწილაკი ნერგები მომცა, ვერაფრით ვერ გავახარე.

ართვალი - უშნო, შეუხედავი ადამიანი. 1.მარჯვე გოგო შეიქნა ჩვენი რძალი და მისი ართვალობა კი დაგვავიწყდა.

„ართვალიძ უფრო ადამიანის სახეზე ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე მთელ სხეულზე. ამდენად, მას საკუთარი „არეალი“ გააჩნია და მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ზემოთ მოტანილ განმარტებებს.

ახალშენი - I.ახალმოსახლე, ვინც ამ ადგილას ახლახან „მოშენდა“. 1. ისე მშვენივრად მოეწყვნენ, ახალშენობა აღარ რო ეტყობათ. II. ახლადჩაყრილი ნერგები, უფრო - ვაზისა. 1. რა ქნა შენმა ახალშენმა, თუ იხეირა?

ბაღდავანი - რჩეული, მწვანით მოსილი, ყოველი სიკეთით შემკული ადგილი. 1.ბაღდავანში ვცხოვრობდი და ამ ნრიოკებს რა შემაგუებს. 2. წუხელ სიზმარში სულ ბაღდავანში დავდიოდი.

„ბაღდავანი“ სამოთხის სინონიმი ჩანს. მგონი იგი სიტყვა-კომპოზიტია და შიგ „ბაღი“ და „ვანი“ (ე.ი. მოსასვენებელი ადგილი) ისმის.

ბემბეცო - ძალზე ბნელი ღამე, როცა თვალთან თითს ვერ მიიტან. 1.რას დაბორიალობს ამ ბემბეცოში, არსად გადავარდეს.

ბელექანი - დიდი, უზარმაზარი. 1. რამ მოგატანინა ამხელა ბელექანი ტვირთი. 2. იმხელა ბელექანი წყალი მოდიოდა, კინაღამ დამანრჩო.

გაბალთული - ძილმდვიძარე, ძილმორეული. 1.ისე იყო გაბალთული, ძლივს მივიდა ლოგინამდე. 2.თავი დაანებე მაგ ბავშვს, ნომ ნედავ გაბალთულია.

გამგუნება - გაწბილება, პირის შლა. 1.არ მეგონა, ასე გამგუნებულს თუ გამომიშვებდა... მოდის ძირეულ სიტყვა „მგუნესგან“, რომელიც ამ ფორმით უკვე ძალზე იშვიათად გამოიყენება, მაგრამ ისმის სხვა ფორმებშიც. მაგალითად, „დამგუნებაძ - დამდურებაააა.1. სანამდე უნდა იყოთ ასე დამგუნებული.

გამოტრიზა - დააცდენინა, გამოსტყუა, დასცინცლა (ოღონდ სათქმელი, (ვთქვათ საიდუმლო) და არა მატერიალური რამ). 1. ნო იცი, რა ეშმაკია, არაფერი გამოგტრიზოს.

საეტაპო მნიშვნელობის საკვლევი მასალა იმერეთის ტოპონიმიაზე



2014 წელს გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების, ბატონების – იგორ კეკელიასა და კახაბერ ქებულაძის წიგნი „იმერეთის ტოპონიმია სამუზეუმო და კარტოგრაფიოულ მასალებში“. ნაშრომში წარმოდგენილია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის (გრანტი №28) ფარგლებში ავტორთა მიერ 2013-2014 წლებში იმერეთის რეგიონის სიძველეთსაცავებში, კერძოდ, ბაღდათის, ზესტაფონის, საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურის, ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების, ქუთაისის აკად. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის, წყალტუბოსა და ხონის ისტორიული მუზეუმებისა და მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცული საისტორიო საბუთებიდან ბარათების სახით ამოწერილი და დამუშავებული ტოპონიმიური ქმასალა, აგრეთვე რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკებსა და „საქართველოს გეოგრაფიულ ატლასზე“ აღნიშნული იმერეთის რეგიონის ტოპონიმები.

მასალა თითოეული რაიონის მიხედვით დალაგებულია ანბანური რიგით და მათ შესახებ დოკუმენტური მონაცემები წარმოდგენილია ქრონოლოგიური აღმავლობით. პირველად არის დასახელებული ტოპონიმი და მითითებულია, თუ რისი სახელწოდებაა (ქალაქის, სოფლის, რაიონის, ნაეკლესიარის, სათიბის, სახნავის, ღელის...). აქვე ავტორებს მოტანილი აქვთ ცნობები ტოპონიმის საზღვრებისა და მისი მფლობელების ვინაობის შესახებ. დასახელებული არიან დოკუმენტის შემდგენლები, გადამწერლები. მითითებულია საბუთის შედგენის თარიღი. აქვეა წარმოდგენილი მუზეუმში ამ საბუთის დაცვის სარეგისტრაციო ნომერიც. ისტორიული საბუთებიდან დამოწმებული ამონარიდები მოტანილია სრული სიზუსტით. არ არის გამოტოვებული ქარაგმები. ისევე, როგორც დოკუმენტებში, აქაც გამოყენებულია ნმარებიდან გასული ასოები, გაბკვეთილობის ნიშნები, ორი და სამი წერტილი და ა. შ.

იმის გამო, რომ ბევრი საბუთი დაზიანებულია და მათი სრული სახით დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, წიგნის ავტორებს წარმოდგენილი აქვთ ამ დოკუმენტის პერიფრაზირება. ზოგიერთი ისტორიული დოკუმენტი აქ სრულყოფილად არის დაბეჭდილი.

წიგნში თავმოყრილი და დამუშავებული საისტორიო მასალა მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისაა XVIII-XIX საუკუნეებისა და XX საუკუნის I მესამედის იმერეთის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, დიალექტოლოგიის, ფონეტიკისა და მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიის შესასწავლად.

წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მჭედლიძე. რეცენზენტები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები მერაბ ბერიძე და პაატა ცხადაია.

ავტორების მიერ განხორციელებული კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ პირველად შეიქმნა იმერეთის რეგიონის ტოპონიმიის შედარებით სრული სამეცნიერო ბაზა, სამუზეუმო და კარტოგრაფიული მასალებიდან ამოკრებილი გეოგრაფიული სახელწოდებების სახით. გეოგრაფიული სახელწოდებები კი ყველას აინტერესებს. მათ შორის ისტორიკოსებსაც, გეოგრაფებსაც, ტოპონიმიის მკვლევრებსაც... და აინტერესებთ არა მარტო ამა თუ იმ აღგილის, მთის, ქალაქის, სოფლის, ზეგნის, მდინარის, წყაროს, სათიბის, მინდვრის და სხვათა სახელწოდება, არამედ ამ სახელწოდებათა წარმომავლობა, მათი შინაარსი, როდის და რატომ დაერქვა ეს სახელი. სწორედ ასეთი გეოგრაფიული სახელწოდებები ინახავს ერის ისტორიას. მათი უმრავლესობა ნომ ასეული და ათასეული წლების წინ არის შექმნილი და დღემდეა შემორჩენილი. ტოპონიმიკური სისტემის სათანადოდ შესწავლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი ენის ისტორიული ფონეტიკის კანონზომიერებათა დადგენა. ეს იმიტომ, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებებში ენის ცვლა-განვითარების ისეთი უძველესი მოვლენებია დაფიქსირებული, რომლებიც „ბევრად უსწრებენ სამწერლობო ენის ჩამოყალიბებას“ (გ. ბედოშვილი).

გეოგრაფიული სახელწოდებები ერთბაშად არ შექმნილა. ადამიანებმა თანდათან დაარქვეს სახელი მათს კუთვნილ ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებს. სახელებს არქმევდნენ ძირითადად იმ მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც ობიექტისათვის ყველაზე ნიშანდობლივი იყო. სწორედ ამ პრინციპით საქმიანობდა საზოგადოება და საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებებიც, რომლებშიც მათი შემქმნელი და მომხმარებელი ხალხის საინტერესო თავგადასავალიბ ობიექტებში კი მათი ფიზიკურ-მორფოლოგიური თავისებურებები ჩანს.

აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია ის შრომა, რაც ბატონებმა იგორ კეკელიამ და კახაბერ ქებულაძემ ამ საქმიანობისათვის გასწიეს. მართალია, მათ არ უცდიათ, მკითხველისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ამა თუ იმ ობიექტის წარმომავლობის შესახებ, არც მოპოვებული მასალა შეუდარებიათ სხვა ისტორიულ წყაროებთან, მაგრამ რაც გააკეთეს, ამ პირველი ეტაპისათვის მეტად მნიშვნელოვანია და ქართული საისტორიო, გეოგრაფიული მეცნიერებისა და ენათმეცნიერების მეტად მნიშვნელოვანი, ფასდაუდებელი და, შეიძლება ითქვას, საეტაპო დანიშნულების საკვლევი მასალაა. ამ წიგნში წარმოდგენილ ისტორიულ დოკუმენტებზე მომავალში იმუშავებენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ენათმეცნიერები, ფონეტიკის სპეციალისტები, ეტიმოლოგები... ვერც ერთი მეცნიერი ენობრივ-ტოპონიმიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტით კვლევისას ამ მასალას გვერდს ვერ აუვლის.

იმერეთის ტოპონიმების შესწავლის მიზნით ქართველი მეცნიერების მიერ გაწეული მუშაობა სრულყოფილი და ამომწურავი ვერ იქნებოდა იმერეთის მუზეუმებსა და არქივებში დაცული საისტორიო დოკუმენტებიდან ამოკრებილი ტოპონიმიური მასალის გარეშე. ამ მიზანს ემსახურებოდა შ. ბურჯანაძის ჯერ კიდევ 1958 წელს გამოცემული ,,ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.) და შემდეგ ზ. ალაქსიძისა და შ. ბურჯანაძის მიერ 1964 წელს გამოსაცემად მომზადებული ,,მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 6 წიგნი (X-XVII საუკუნეების ისტორიული დოკუმენტების მიხედვით)“.

სარეცენზიო წიგნში – „იმერეთის ტოპონიმია სამუზეუმო და კარტოგრაფიულ მასალებში“ გამოქვეყნებული მდიდარი ისტორიული დოკუმენტები, რომელთაც დღემდე მეცნიერის ხელი არ შეეხებია და, რომლებიც შეუსწავლელია, გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ავტორებმა სამომავლოდ გაუკეთონ ანოტირება და დაამუშაონ აქ აღწერილი მასალები და ამ საკითხს, ვიმედოვნებთ, ყველა დარგის სპეციალისტი თავ-თავისი კუთხით შეეხება. ამჟამად იმერეთის რეგიონის რამდენიმე მუზეუმში ტოპონიმიური მასალის აღწერა-აღნუსხვა დასრულებულია. გრანტის ფარგლებში მოხდენილია მათი კომპიუტერიზაცია. მომავალში ამ საკითხების კვლევა უკეთ წარმოაჩენს ამ რეგიონის ტოპონიმიური მასალის სრულ სურათს და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ენის ლექსიკურ სიმდიდრეს.

გვერდს ვერ ავუვლით წიგნის შექმნის პროცესში ბ-ნ იგორ კეკელიას მიერ გაწეულ საქმიანობას ამ კუთხით. მარტვილის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დაცული ისტორიული დოკუმენტები თვით ბატონმა იგორმა მოიპოვა ოჯახებში კარდაკარ სიარულით. 130-ზე მეტმა ისტორიულმა დოკუმენტმა დღეს ამ წიგნში პირველად იხილა „მზის სინათლე“, პირველად გამოქვეყნდა. ეს დოკუმენტები ძირითადად იმერეთის ქალაქების, სოფლების, რაიონების, ტყეების, მიწის ნაკვეთების, ღელეების, სახნავების, წყაროების, საკარმიდამოების, ეზოების, ვენახების, ნრამების, საყანეების, ჭალების, მდინარეების, ეკლესიების, სასაფლაოების, გორების სახელწოდებებს შეეხება. ისინი XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის I მესამედს მიეკუთვნება. ეს დოკუმენტები ბ-ნ იგორ კეკელიას, როგორც საქართველოს ისტორიით გულანთებული მამულიშვილის, დაუღალავი შრომის ნაყოფია. გვწამს, რომ მან ამ დოკუმენტების მოპოვებით ყველა ეს ისტორიული საბუთი გადაარჩინა გაქრობისა და განადგურებისაგან.

ნაშრომს ღირსებას ჰმატებს მასში მოთავსებული დანართი – იმერეთის დასახლებული პუნქტები 1930 წლის „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის“ მიხედვით (გვ. 313-317) და ნუსხა რუსულენოვან კარტოგრაფიულ რუკებზე დატანილი ტოპონიმების ქართული შესატყვისებისა.

იზოლდა რუსაძე

ცოცხალი წიგნი

დავით შავიანიძე არაერთი ეთნოლოგიური გამოკვლევის ავტორი გახლავთ. თითოეული მათგანი დიდი ინტერესით იკითხება,ვინაიდან მათში თავმოყრილია ჩვენი ახლო წარსულის, ცოტა უფრო ადრინდელისა და უკვე მომწიფებული ისტორიული ჟამის სინამდვილე, ფოტოგრაფიული სიზუსტით რომ ჩაგვახედებს ქართველი კაცის ყოველდღიურობაში, მისი კარმიდამოდან მოყოლებული დაგვათვალერებინებს ბარისა და მთის სოფლებს,მაღლიან მიწებს, მდინარეებს,ლამაზი იდუმალებით შემონახულ ტყეებს და,რაც მთავარია,ცდილობს აღადგინოს წინაპრის პორტრეტი, მისი ბუნებრივი მეტყველება-ლექსიკა, მისი შინაურულობა,მისი გალექსვა-გაზღაპრება, სიმღერა-ამღერება...ეს სინამდვილეა ადამიანის ყოველი ნაბიჯის აღდგენა, მის გენში, გვარ-სახელის საბუდარში ჩადებული ზოგჯერ მრავალგამოცანიანი საუნჯის მიგნება. ეს სინამდვილეა ხასიათების გაცოცხლება და შენახვა, თუნდაც პატარ-პატარა ტექსტ-ამბებით, ერთი კაკალა სიტყვითაც კი.ამ ხასიათებით იკვებებიან მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, ქორეოგრაფები, მოქანდაკეები, ვინ არ იკვებება ამ ხასიათ-პორტრეტებით, ვინ არ ეძებს მას, რომელი ღმერთნიჭმომადლებული გაუშვებს ხელიდან წარსულიდან ამოფრენილ თავისივე ენა თუ სისხლმოზიარის ცინცხალ ამონათებას. დიახ, ვინ არ ეძებს...მაგრამ ეთნოგრაფები უფრო გულდასმით, უფრო გულისყურით ეკიდებიან ამ საქმეს. დათო შავიანიძე ასეთ მშრომელ მეცნიერთა მცირეოდენობას ეკუთვნის. იგი კარგა ხანია დაკავებულია ეთნოგრაფიული შემგროველეობით და არ მარტო ამბების მოკრებით. მოაგროვებს, მოახუჭუჭებს ერთად და მერე ზომავს, წონის, ალაგებს,ოქროს ოქროსკენ გადადებს, ვერცხლს - ვერცხლისკენ. გაწაფულია ამ საქმეში და ერთმანეთში არ აურევს მათ.თან გამწაფავის როლსაც თამაშობს. ზაფხულობით ისე არ დადგება სტუდენტების კარგა მოზრდილი ჯგუფი არ „შეუსიოს“ ჩვენს საახლობლოებს (ამ ბოლო დროს სამეგრელოსა და სვანეთს შეუჩნდა). ამდენ მოსწავლე-მასწავლებელს რას გამოაპარებ ან სად დაემალება მთელი ცხოვრება ნაჯაფი კაცი და მოაქვთ და მოაქვთ ხურჯინებით ქუთაისში თითოთითო ჯერზე ცოტაოდენი სამეგრელო, ცოტაოდენი სვანეთი, ცოტაოდენი სხვა ჩვენი განაყოფ -ნათესავის ენობრივ-საყოფიერო ქონება. დარწმუნებული ვარ, ეს საქმე ცინცხალი სიყვარულით კეთდება.ღმერთმა გაუხანგძლივოთ მასწავლებელსაცა და მის მოწაფეებს (ალბათ სახვალიოდ თავადაც ამ კუთხით გამწაფავებს) ეს დიდებული საშრომოცა და გზასავალდაულევლობა.

ამ პატარა გულწრფელობის შემდეგ უნდა მოგახსენოთ, რომ ნამდვილად დიდი შენაძენია ჩვენთვის დავით შავიანიძის „სამეგრელო“. ეს წიგნი მომცრო-მომცრო ნარკვევებისაგან შედგება, მაგრამ ყოველი ტექსტი ნაირ-ნაირი საკვებითაა სავსე და ამდენად მსხმოიარე შინაარსით მიდის მკითხველამდე.ავტორი წინაპარი მკვლევარ-ეთნოლოგების მძლავრ ბურჯებზე დგას და სასიამოვნოც კია, მათ მუხლჩაუხრელ შრომას პატივს რომ მიაგებს და თავის მხრივაც ადასტურებს ახალი ინფორმაციის მიღებასთან ერთად ახალ ნიშნულებს რომ აგნებს ე.ი. თავად რა სიახლე მოგვიტანა მარტივად გვიხსნის და გვაგებინებს.

ამ წიგნს დროთა განმავლობაში მისი ისტორიული მნიშვნელობა უფრო გააძვირფასებს.ჩემთვის ნათელია, რომ დაუზარებელი ჯაფის გარეშე ამდენი მასალა ვერ მოგროვდებოდა, ისიც ცხადია, ამ მასალის გადახარშვა-გაჩხიბვას გამორჩეული ნიჭიერება სჭირდება და, რასაკვირველია, წიგნის დაწერაც თავისებურ ლაზათს მოითხოვს. სამივე ეს მადლთაგანი ერთადაა შერწყმული და ამიტომაც ვუწოდებ მე, ერთი ჩვეულებრივი მკითხველ-გამსინჯავი, ამ წიგნს ცოცხალ წიგნს. უკეთესი იქნება, თავად მკითხველი მიეტანოს ამ სიცოცხლესაცა და სიყვარულს, ეროვნული ძარღვით შეკვართულს.ამიტომაც არ მისაუბრია ბევრი ითი მოსწავლის ლაპიდარულობით „სამეგრელოს“ შიდა სამზარეულოზე.

გია ხოფერია

ეკატერინე დადიანის ნაშრომი „მეგრული ზმნის პარადიგმა“



ქართველები ბედნიერი ერი ვართ სხვა ერთა შორის იმით, რომ შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი უძველესი კულტურით, ვწეროთ მსოფლიოს თოთხმეტი დამწერლობითაგან ერთ-ერთი - უძველესი ქართული ანბანით და ვილაპარაკოთ „ღმერთების ენად“ წოდებულ ქართულ ენაზე. ამ მხრივ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის, ქართული ენის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული ახალ-ახალი სიტყვის თქმაში, წიგნების გამოცემებში. ამ ბოლო დროს აღნიშნული მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებმა ბევრი საინტერესო სახელმძღვანელო გამოსცეს.

წიგნი აქტუალურია და საინტერესოა ენათმეცნიერებისთვის, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

ახლახან დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ქართული ენის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ეკადადიანის მონოგრაფია „მეგრული ზმნის პარადიგმა“. ნაშრომში საფუძვლიანადაა გაანალიზებული მეგრული დიალექტის ზმნის ფორმაწარმოების საკითხები; გაშუქებულია ზმნის უღლების თავისებურებები; წარმოჩენილია მეგრული ზმნის სრული პარადიგმა ყალიბების-/მწკრივებისა და პირთა კომბინაციების გათვალისწინებით. წიგნს ახლავს ვრცელი დანართი, სადაც წარმოდგენილია ერთი ძირიდან ნაწარმოები სხვადასხვა სტრუქტურისა და კონსტრუქციის ზმნათა უღლების ნიმუშები. ავტორი ნათლად წარმოაჩენს მეგრულის მიმართებას სალიტერატურო ქართულთან და სხვა კილოებთან. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების გათვალისწინებით და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე შესაბამისი არგუმენტებით აანალიზებს და განმარტავს მეგრულისთვის სპეციფიკურ ფაქტებს. ავტორი საინტერესოდ მსჯელობს საკვლევ პრობლემებზე, ბევრი საკითხი ახლებურადაა დანახული და გადაწყვეტილი. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქართული ზმნის სტრუქტურულ-სემანტიკურ მრავალფეროვნებაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევა ეფუძნება ავტორის მიერ მოპოვებულ ახალ დიალექტურ მასალას, რომელიც წლების განმავლობაში იწერებოდა და მუშავდებოდა და დაცულია ქართველური დიალექტოლოგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამად მიმართულებაში).

შეიძლება ითქვას, რომ ეკა დადიანის წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს ქართველური (მეგრული) ზმნის სისტემისა და სტრუქტურის შესწავლის კუთხით. წიგნი დახმარებას გაუწევს აგრეთვე ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს, კერძოდ, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ქართული/ქართველური ზმნის ფორმაწარმოების კანონზომიერებების შესწავლაში.

რამაზ ნაჭაპურიძე
აწსუ საქართველოს ისტორიისა
და არქეოლოგიის დეპარტამენტის
ასისტენტ-პროფესორი

სრული კაცი

ადამიანის ცხოვრება, დროის თვალსაზრისით, გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. ასაკის მომატება თავისთავად უნდა ნიშნავდეს სულიერი სამყაროს მრავალფეროვანი სახით წარმოჩენას, ცხოვრებისეული გამოცდილების გაღრმავებას და თაობებისათვის გარკვეული ზნეობრივი მაგალითების მიცემას. თუ ამგვარად იცხოვრა კაცმა, მაშინ უფლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობა მას პირნათლად შეუსრულებია. ასეთ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის პროფესორი **რობერტ გოლეთიანი.** თუ მის მიერ განვილილ წლებს მოღვაწის თვალსაზრისით შევაფასებთ, უნდა ითქვას, რომ მას ღირსეულად გაუვლია პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების გზა. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მრავალი დიდებული მეცნიერი და პედაგოგი ჰყოლია. უნივერსიტეტის ფოიეში დაფაზე ამოკვეთილი გვარები მსოფლიოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელს დაამშვენებდა; მაგრამ ახლა მთავარია როგორ გრძელდება დღეს მათი საქმე, სტუდენტი-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის თუ სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით. ამ ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია დღეს იუბილარი რობერტ გოლეთიანი. იგი მრავალი ღირსებით შემკული კაცია. არის უღალატო მეგობარი, კარგი მეცნიერი, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, საქვეყნო საქმისათვის გულშემატკივარი. ამიტომაც აფასებენ და პატივს სცემენ მას არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ ჩვენს ქალაქში, მის მშობლიურ რაიონში. რობერტ გოლეთიანი მეცნიერულმა მიღწევებმა, უმაღლესი საგანმანათლებლო საქმის ზედმიწევნით ცოდნამ, ორგანიზატორულმა უნარმა და ყველაფერ ამასთან გამორჩეულმა ორატორულმა ნიჭმა ჩენი თაობის ლიდერად აქცია. მის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის გამო კიდევ ერთხელ უნდა ითქვას - მან ადამიანის სიყვარულით იცხოვრა და ცხოვრობს, ამიტომაც ვერ გატეხა თავსგადახდენილმა დიდმა ტრაგედიამ.

ბოლო ხანს უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიური თანამდებობის სხვადასხვა სახელწოდებები დამკვიდრდა. ერთ-ერთის სახელდება იყო - „სრული“ (ერთგვარი კალკია). ამისდაკვალად მინდა ვუთხრა ჩემს მეგობარს რობერტ გოლეთიანს - მას ვანიჭებ ადამიანთა ურთიერთობაში „სრული კაცის“ თანამდებობას! ალბათ, ამაში ბევრი დამეთანხმება. სათქმელი ბევრია, მაგრამ იგი მისი მომავალი იუბილეებისათვის გადავდოთ. ღმერთმა დღეგრძელობა და სიკეთე არ მოგაკლოს!

ომარ გვეტაძე
პროფესორი

სიბრძნის ასაკი

ჩვენი უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის სრულ პროფესორს რობერტ გოლეთიანს დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. იგი წარმოშობით ლეჩხუმიდანაა, დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი; 1990-92 წლებში უნივერსიტეტის პრორექტორი; 1992-2005 წლებში იურიდიული ფაკულტეტის დეკანი; შემდეგ 2010 წლამდე ფილოსოფიის კათედრის გამგე; 2015 წლიდან დღემდე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი; 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, არის ფილოსოფიისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გამოქვეყნებული აქვს 6 მონოგრაფია და ასამდე სამეცნიერო სტატია და პუბლიცისტური წერილი.

რ. გოლეთიანი თავისი თაობის ლიდერია, მას ოჯახიდან გამოჰყვა ის გენი, რომელმაც მის ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მშობლები, განსაკუთრებით მამა-ტრიფონ გოლეთიანი ლეჩხუმში ცნობილი ინტელიგენტი და განსწავლული პიროვნება იყო, დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობა, იყო სტალინური სტიპენდიანტი. წლების განმავლობაში მუშაობდა მშობლიური მხარის განათლების ორგანოებში... ბ-ნმა რობერტმა მშობლების ამაგი ნამდვილი ქრისტიანული მართლმადიდებლობით მოიხადა, მათ ხსოვნას არაერთი პუბლიკაცია და წიგნი მიუძღვნა...

უნივერსიტეტში რ. გოლეთიანს არაერთი სასიკეთო საქმე წარმოუწყია, მან თითქმის ცარიელი ადგილიდან შექმნა ეკონომიკისა და იურიდიული ფაკულტეტები; აქ შეძენილი გამოცდილება გამოადგა კერძო უნივერსიტეტის შექმნაში, სადაც ბევრი მეცნიერ-თანამშრომელი დაასაქმა...

რ. გოლეთიანის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებულია მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფიური და სოციალური პრობლემატიკით. ამ თემას მან მიუძღვნა 6 მონოგრაფია და უამრავი სამეცნიერო სტატია. თუ ამ საკითხებზე ქართველ მკვლევარებს გამოქვეყნებული ჰქონდათ ცალკეული ნაშრომები, რ. გოლეთიანმა გააერთიანა და ერთ სისტემაში მოაქცია ქართული ფილოსოფიური და სოციოლოგიური აზრის განვითარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან, ვიდრე 2000 წლამდე. მისი შრომები დაედო საფუძვლად სადოქტორო დისერტაციას, რომელიც მან ბრწყინვალედ დაიცვა 2003 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმდროინდელი ფილოსოფიის სამეცნიერო საბჭო შედგებოდა, როგორც ძველი., ისე ახალი თაობის წარმომადგენლობისგან. მე თვითონ ვიყავი ამ საინტერესო ფაქტისა, როცა ბ-ნ რობერტს ერთხმად დაუჭირეს მხარი ორივე თაობის წარმომადგენლებმა და განსაკუთრებით ცნობილმა ფილოსოფოსმა აკადემიკოსმა გურამ თევზაძემ, ეს იყო არამარტო რობერტ გოლეთიანის, არამედ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრწყინვალე გამარჯვება.

მალე რ. გოლეთიანი არჩეულ იქნა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ამ უკანასკნელის სამეცნიერო ჟურნალში - ფილოსოფიური ძიებანი რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა. იმ ხანებში ბ-ნმა რობერტმა ქუთაისში დაარსა ცნობილი სამეცნიერო ჟურნალი - „საზრისი“, სადაც წლების მანძილზე იბეჭდებოდა ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან...

ამ ბოლო ხანებში რ. გოლეთიანმა სათავე დაუდო ახალ წამოწყებას - აქვეყნებს წიგნების სერიალს მშობლიური მხარის - ლეჩხუმელთა საქმიანობის შესახებ, უკვე გამოქვეყნდა ორი წიგნი, სადაც ცნობილი პიროვნებების შემოქმედებაა წარმოდგენილი... ამით ბ-ნმა რობერტმა მაგალითი მისცა უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერთანამშრომლებს წარმოაჩინონ თავიანთი კუთხის - სამეგრელოს, გურიის, რაჭის ... ცნობილი ადამიანების ნამოღვაწარი.

რ. გოლეთიანის ცხოვრების გზა არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი, ამ საწუთროში მას ბევრი ტკივილიც შეხვდა იქნება ეს ერთადერთი ვაჟის, თუ მეუღლის მოულოდნელი აღსასრული, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობას იგი არ გაუბოროტებია, ვაჟკაცურად შეხვდა ბედის ამ განაჩენს. მე ნშირად მითქვამს მისთვის, რომ მისი ცხოვრება რაღაცნაირად ჰგავს მისი კუთხის წარმომადგენლის - დიდი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ცხოვრებას, რომელიც ამბობდა: ოჯახურ მიმართებაში არ გამიმართლა, მაგრამ საზოგადოებრივ სარბიელზე დიდი წარმატებები მქონია, როგორც იტყვიან, ოჯახურ ტრაგედიას სასოწარკვეთილებაში არ ჩაუგდია, ხოლო საზოგადოებრივ წარმატებებს თავბრუ არ დაუხვევია, ასევე ჩვენი რობერტიც.

რ. გოლეთიანს ცხლოვრების სარბიელზე გამოუმუშავდა განსაკუთრებული უნარი - როცა იგი რაიმე საქმისათვის იწყებს მზადებას, ამის შესახებ აზრს ეკითხება ახლობლებს, უფროს კოლეგებს... მერე ბველაფერს თავისებურად გაანალიზებს და თვითონ იღებს საკუთარ გადაწყვეტილებებს. აქ უნებურად განსხვდება დიდი ფლორენციალის - დანტე ალიგიერის მაქსიმა - იარე შენი გზით, დაე, რაც უნდათ, თქვან კაცთა... ყოველივე ამის ნიმუშია უნივერსიტეტში განხორციელებული მისი იდეა - ჩამოეყალიბებინა ფილოსოფიის სპეციალობა, მან როგორც იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა, დღა და ღამე ასწორა, რომ ეს საქმე ბოლომდე მიეყვანა და შედეგმაც არ დააყოვნა - დღეს ჩვენს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფილოსოფიის სპეციალობა, რომლის შექმნაში ლომის წვლილი ბ-ნ რობერტს მიუძღვის.

ბ-ნ რობერტს შვილივით უყვარს სტუდენტობა, განსაკუთრებით მისი თაოსნობით შექმნილი სპეციალობის ახალგაზრდები და ეს უკანასკნელიც არ რჩებიან ვალში თავიანთ უფროს კოლეგას; ამის მაგალითი იყო 65 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე ფილოსოფიის სპეციალობის სტუდენტების აქტივობა და დიდი სიყვარულის გამჟღავნება ბ-ნი რობერტისადმი.

ბ-ნ რობერტს ბევრი კეთილ-ადამიანური თვისება აქვს, რომელიც სანიმუშოა სხვებისათვის; მას განსაკუთრებულად უყვარს ღელმამისშვილები და ეს უკანასკნელიც ასევე რეაგირებენ მისადმი. მე მესამეჯერ ვესწრები რობერტის საიუბილეო ღონისძიებებს და ძალიან მხიბლავს მისი დამოკიდებულება ძმისადმი - ბ-ნი ავთანდილისადმი. როცა რობერტის 60 წლისთავი აღინიშნა ავთო სანალხოდ ჩაეხუტა რობერტს და უსაზღვრო სიყვარული გამოხატა... განუმეორებელია რობერტის სიყვარული ერთადერთი ასულის - ანასადმი და ასევე სიძისადმი ... ეს სითბო და ალერსი გრძელდება დღესაც და ღმერთმა ინებოს რამდენიმე ათეული წელი გაგრძელებულიყოს...

ახლა, როგორც იტყვიან, ბ-ნი რობერტი სიბრძნის ასაკშია და მისგან კიდევ ბევრ საინტერესოს ელიან მისი ახლობლები, თანამშრომლები და მეგობრები...

იაშა კუჭუხიძე

მ ი ლ ო ც ვ ა

გულითადად ვულოცავთ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ფილოსოფიის მიმართულების ხელმძღვანელს, პროფესორ რობერტ გოლეთიანს საიუბილეო ასაკის შესრულებას. ფილოსოფია, რომელიც ბატონმა რობერტმა თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ასპარეზად აირჩია, ცოდნის ის დარგია, სადაც წარმატება ძლიერ ინტელექტსა და ფართო ერუდიციასთან ერთად, ისეთ პიროვნულ თვისებებსაც მოითხოვს, როგორიცაა გამბედაობა და დასახული მიზნისაკენ შეუპოვარი სწრაფვის, ბრძოლის და წინააღმდეგობების დაძლევის ნიჭი. ამ თვისებებთან ერთად, მისი წარმატებები, როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე, დიდად განაპირობა საზოგადოების განვითარების შინაგანი ტენდენციების სწორად ამოკითხვისა და ეპოქის სულის გაგების უნარმა. ქვეყნის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც დიდი სოციალური რყევები დაიწყო, ბატონი რობერტი ყოველთვის იმ საქმეს აკეთებდა და აკეთებს, რაც ქვეყნის, ჩვენი ქალაქის და განსაკუთრებით, ჩვენი უნივერსიტეტის წინსვლას უწყობს ხელს. ამ მიმართულებით მისი დამსახურებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, შევჩერდებით მხოლოდ ერთზე. ბატონ რობერტს, ვისაც დიდი გამოცდილება აქვს უნივერსიტეტში ახალ სპეციალობათა დაარსების საქმეში, ლომის წილი მიუძღვის ფილოსოფიის სპეციალობით ბაკალავრიატის საფეხურის ამოქმედებაში, რაც ახალ პერსპექტივებს ხსნის უნივერისიტეტში ფილოსოფიური დარგების შემდგომი განვითარებისათვის.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ 15 წლის შემდეგ მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შეჯამების ხანა დგება, მაგრამ ფილოსოფიის სპეციალისტს ეს არ ეხება. ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც დიდ გამოცდილებას ემყარება, სიბრძნის გაცილებით ღრმა ფენებს სწვდება, ვიდრე თუნდაც ძლიერი, მაგრამ ჯერ დაუღვინებელი გონება. ამიტომ, ბატონი რობერტისაგან, ვინაც უკვე არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომით გაამდიდრა ქართული ფილოსოფია, მის გამოცდილებაზე დამყარებულ, ახალ ფილოსოფიურ მიგნებებს მოველით.

მერაბ მაღრაძე
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის
დეპატამენტის ხელმძღვანელი

გვარი და სახელი მისამართია

ულამაზესი და უმშვენიერესი კუთხიდან, ლადო ასათიანის ლექსის ასაფრენი ადგილიდან, მთებში ოქროს ხოხობივით ჩაფრენილ მზეს რომ დამსგავსებია ბუნებისა და ხელის წყალობით, ლეჩხუმი ჰქვია ამ კუთხეს, გასხივოსნებულს სტუმარ-მასპინძლობის მადლით და ნიჭიერი, საამაყო ადამიანებით, რომელთათვისაც დაულოცნია გზა მწვერვალებისკენ მიმავალი, სწორედ ერთ-ერთი მათ შორის ბატონი **რობერტ გოლეთიანია.** ვისაც არ უნდა ჰკითხოთ აღზევებითა და დიდებით მოსილ ადამიანებს, გიფიქრიათ თუ არა, რომ ესოდენ დიდი კაცი გახდებოდითო, ალბათ, ყველა ღიმილით გიპასუხებთ, რა თქმა უნდა, არაო ამას იმიტომაც გეტყვიან, რომ არავინ იცის დიდებისაკენ მიმავალ მრავალ გაწმტოებულ გზაზე, რომელ გზას აირჩევს ადამიანი. ალბათ, არც ახალგაზრდა რობერტს ჰქონდა გადაწყვეტილი, საით დაუბერავდა მისი ბედისწერის სიო - ბედისწერა ვახსენე და სწორედ მკაცრი ბედისწერა და გამოცდა მოუწყო ცხოვრებამ, თუმცა იმავე ცხოვრებამ ძალაც მისცა დაბრკოლებათა დაძლევისა. აღზევებული უმღალეს მწვერვალამდე მეცნიერებაში, ფართოდ გაშალა მხრები და ფრთები, მეგობრობაში ნიჩბით აგროვა სიყვარული, გაისაკუთრა გზა ყოველთა სიკეთისა სავალად და დაიმკვიდრა მისამართი **რობერტი გოლეთიანი,** დიახ, სამაგალითო პიროვნებას, ამტანს და გამტანს, ვულოცავ 65 წლის იუბილეს და ვუსურვებ თავის ერთადერთ საფიცარ შვილთან ერთად ლაღად ესუნთქოს ქართული ზღვისა და მთის ჰაერი გამოლევამდე.

ოთარ ჭუმბურიძე
პროფესორი

ანა ჯიქია

ბავშვობა

მოდით, დიდ მინდორზე ვითამაშოთ,
ხეზე ავაშენოთ სახლი.
ტორტი გამოვაცხოთ
ისევ ტალახის და
ღრუბლებს გავატანოთ დარდი.

გახსოვთ „წრეში ბურთი“, ხეზე
„მგელობანა“,
წყალზე სიარული მერე,
მაყვლით მოთხუპნული სახე,
ხელები და
ჩაის ბუჩქები და ღელე.

ჩვენი ოცნებები, ჩვენი სიმღერები,
მაშინ რა ვიცოდით დარდი.
ბურთის თამაში და მუხლი
გახეთქილი
მაინც ასე იყო კარგი.

გახსოვთ შეხვედრები ჩვენს
„დიდ მწვანე ველზე“?
იქვე დანთებული ცეცხლი,
თხილი, ვაშლები და ცოტა არაყი და
მერე სიმინდები შევწვით.

ახლა ერთმანეთი გვენატრება,
მგონი, ხმაშიც გაჩნდა დარდი.
წამო, „მგელობანა“ ვითამაშოთ,
ხეზე ავაშენოთ სახლი.

შემოდგომის არითმია

გადავიზაფხულე მწველი სხივებიდან
უკვე შემოდგომის ველი არითმიას.
სუნთქვა შეიკარი, სული დახუთული
როგორ გაიგრილო ხომ არ
გიფიქრია?
მე გავიზაფხულე ისევ უშენობით
აწი სადაცაა ვნახავთ
ფოთოლცვენას.
ფერი შეეცველება ისევ ბუნებას და
თვალებს დამშვენდება ჭრელი
შემოდგომა.
სექტემბრიფერია ცოტა მოყვითალო,
ოქტომბრისფერია უფრო
ცეცხლისფერი.
შენი თვალებიდან წამოსული ალის,
შენი ჩახუტების, თბილი
სუნთქვისფერი.
მერე ნოემბერი უფრო დაღვინდება.
ცოტა ხასიათში სევდა აკიაფდა.
მახსოვს, შარშანდელი ჭრელი
შემოდგომა,
„შენ რომ გაიღიმე და მე
შემიყვარდა“.
გადავიზაფხულე ისევ ძველებურად,
ისევ მონატრებით - მწვავე არითმია.
ნეტავ ჩამახედა ახლა შენს
თავლებში,
ნუთუ სიყვარული შენში არ იციან?

სამუელ ჰანტინგტონი

დასკვნები დასავლეთისათვის

წიგნიდან ,,ცივილიზაციათა შეჯახება

მოცემულ სტატიაში სრულიადაც არ მტკიცდება ის, რომ ცივილიზაციური იდენტურობა შეცვლის ყველა სხვა დანარჩენი იდენტურობის ფორმებს, რომ ერი-სახელმწიფო გაქრება, თითოეული ცივილიზაცია გახდება პოლიტიკურად ერთიანი და მთლიანი, ხოლო გახსხვავებულ ჯგუფებს შორის, კონფლიქტი და ბრძოლა ცივილიზაციის შიგნით შეწყდება. მე მხოლოდ წამოვაყენე ჰიპოთეზა იმის შესახებ ,რომ:

1. წინააღმდეგობა ცივილიზაციათა შორის მნიშვნელოვანი და რეალურია.

2. ცივილიაზაციური თვითშეგნება მატულობს.

3. ცივილიზაციათა შორის კონფლიქტი შეცვლის იდეოლოგიურ და სხვა სახის ფორმათა კონფლიქტებს, გლობალური კონფლიქტის გალიერებულ ფორმათა სახით.

4. საერთაშორისო ურთიერთობები, დასავლური ცივილიზაციის ჩარჩოებში ისტორიულად თამაშით წარმოდგენილი, სულ უფრო დევესტერნიზირებული გახდება და გადაიქცევა თამაშად, სადაც არადასავლური ცივილიზაციები გამოვლენ არა როგორც პასიური ობიექტები, არამედ აქტიურად მოქმედი პირნი.

5. ეფექტური საერთაშორისო ინსტიტუტები პოლიტიკის, ეკონომიკსა და უსაფრთხოების სფეროებში ჩამოყალიბდება უფრო ცივილიზაციის შიგნით, ვიდრე მათ შორის.

I. კონფლიქტები ჯგუფებს შორის, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა ცივილიზაციებს, იქნება უფრო ხშირი, ხანგრ)ლივი და სისხლისმღვრელი, ვიდრე ერთი ცივილიზაციის შიგნით კონფლიქტი.

7. შეიარაღებული კონფლიქტი ჯგუფებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვადასხვა ცივილიზაციებს, გახდება ყველაზე უფრო მოსალოდნელი და საშიში წყარო დაძაბულობის, პოტენციური წყარო მსოფლიო ომების.

8. საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი ღერძი გახდება ურთიერთობა დასავლეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის.

9. ზოგიერთი არადასავლური დაშლილი ქვეყნების პოლიტიკური ელიტები შეეცდებიან შეიყვანონ თავიანთი ქვეყნები დასავლურთა რიგებში.

10. უახლოეს მომავალში კონფლიქტთა ძირითადი კერა იქნება ურთიერთობა დასავლეთსა და ისლამურ-კონფუციანურ ქვეყნებს შორის.

ეს არაა ცივლიზაციათა შორის კონფლიქტის სურვილის დასაბუთება, არამედ მომავლის სავარაუდო სურათია. მაგრამ თუკი ჩემი ჰიპოთეზა დამაჯერებელია, აუცილებელია იმაზე ჩაფიქრება, თუ რას ნიშნავს იგი დასავლური პოლიტიკისათვის. აქ საჭიროა მკაფიო განსხვავება მოკლევადიან სარგებლიანობასა და გრ)ელვადიან მოწესრიგებას შორის. თუკი ამოვალთ მოკლევადიანი სარგებლიანობის პოზიციიდან, მაშინ დასავლეთის ინტერესები აშკარად მოითხოვს:

1. თანამშრომლობისა და ურთიერთობის განმტკიცება საკუთარი ცივილიზაციის ჩარჩოობში, უპირველეს ყოვლისა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის.

2. დასავლეთის შემადგენლობაში ინტეგრაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების, რომელთა კულტურა ახლოა დასავლურთან.

3. რუსეთთან და იაპონიასთან თანამშრომლობის მხარდაჭერა და გაფართოება.

4. ლოკლაური ცივილიზაციათაშორისი კონფლიქტების ცივილიზაციათა შორის სრულმაშტაბიან ომებში გადაზრდის თავიდან აცილება.

5. კონფუციანური და ისლამური ქვეყნებისათვვის სამხედრო ძლიერების ზრდის შეზღუდვა.

I. დასავლეთის სამხედრო ძლიერების შემცირების შენელება და მისი სამხედრო უპირატესობის შენარჩუნება აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაზე.

7. კომფუციანურ და ისლამურ ქვეყნებს შორის კონფლიქტებისა და უთანხმოებათა გამოყენება.

8. სხვა ცივლიზაციებისადმი მხარდაჭერა, რომლებიც სიმპათიას გრძნობენ დასავლური ღირებულებებისა და ინტერესებისადმი.

9. დასავლური ინტერესებისა და ღირებულებების ამსახველი და ლეგიტიმაციის გამტარებელი საერთაშორისო ინსტიტუტების განმტკიცება და ამ ინსტიტუტებში არადასავლური ქვეყნების მონაწილეობის ჩაბმა.

გრძელვადიან პერსპექტივებში ორიენტირება უნდა გაკეთდეს სხვა კრიტერიუმებზე. დასავლური ცივილიზაცია ერთდროულად წარმოადგენს დასავლურსაც და თანამედროვესაც. არადასავლური ცივილიზაციები შეეცადნენ გამხდარიყვნენ თანამედროვენი ისე, რომ არ ყოფილიყვნენ დასავლური, მაგრამ დღემდე მხოლოდ იაპონიამ შე)ლო მიეღწია მასში სრულ წარმატებისათვის. არადასავლური ცივილიზაციები შემდეგშიც არ შეწყვეტენ თავიანთ მცდელობებს მოიპოვონ სიმდიდრე, ტექნოლოგია, კვალიფიკაცია, მოწყობილობა, შეიარაღება-ყოველივე ის, რასაც შეიცავს ცნება - ,,იყო თანამედროვე . მაგრამ, ამასთანავე, ისინი შეეცდებიან შეუთავსონ მოდერნიზაცია თავიანთ ტრაცდიციულ ღირებულებებსა და კულტურას. მათი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება გაიზრდება და დასავლეთისაგან ჩამორჩენა შემცირდება. დასავლეთს სულ უფრო და უფრო მოუწევს ანგარიშის გაწევა ამ ცივილიზაციებისადმი, თავისი სიძლიერით ახლომდგომთან, მაგრამ თავიანთი ღირებულებებითა და ინტერესებით მეტად განსხვავებულებთან. ამას დასჭირდება მისი პოტენციალის მხარდაჭერა იმ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფდა, სხვა ცივილიზაციებთან დამოკიდებულებაში, დასავლეთის ინტერესების დაცვას. მაგრამ დასაველთისაგან საჭირო იქნება ამ ცივილიზაციათა ფუნდამენტური რელიგიური და ფილოსოფიური საფუ)ვლების უფრო ღრმა გაგება. მან უნდა გაიგოს ამ ცივილიზაციათა ადამიანებს როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი ინტერესები. აუცლიებელი იქნება მოიძებნოს დასავლეთსა და სხვა ცივილიზაციებს შორის მსგავსი ელემენტები. ვინაიდან თვალმისწვდომ მომავალში არ შეიქმნება ერთიანი უნივერსალური ცივილიზაცია. პირიქით, მსოფლიო შედგენილი იქნება ერთმანეთისაგან განსხვავებული ცივილიზაციებით და თითოეულ მათგანს მოუწევს ისწავლოს ყველა დანარჩენთან თანაარსებობა.

ნუგზარ კუჭუხიძე

სპარტაკ გოქაძე - ღამეგათეული რითმები

„მიწას ამოსკდა ყვავილი, ქორფა, სადარი მზის. ისევ და ისევ ძარღვებში სისხლი ველური მდის“, – ამ სიტყვების ავტორი ახალგაზრდა პოეტი სპარტაკ გოქაძეა, რომელიც გიორგობას ტრაგიკულად დაიღუპა. იგი აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში სწავლობდა, მალე სასწავლებელს დაასრულებდა, უამრავი გეგმა ჰქონდა. „გერმახიაში წავიდეთო“, მითხრა ერთხელ. სწავლის გაგრძელებაზე, მუშაობასა და წარმატებული კარიერის შექმნაზე ოცნებობდა, კიდევ სიყვარულზე... სპარტაკი ხშირად იღებდა მონაწილეობას უნივერსიტეტში გამართულ პოეზიის საღამოებში, მისი ლექსები სევდითა და სიყვარულითაა სავსე. „ღამეგათეული რითმები“ – ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის. წერდა ყველგან და ყოველთვის. შუაღამეს გაეღვიძებოდა, შუქს აანთებდა თავის ოთახში და წერდა. ახალგაზრდა პოეტის „ღამეგათეული რითმები“ სევდისფერია, სევდის და სიყვარულის. „არ დასრულდები შენ, როგორც სივრცე“, „შენ გაიმეტე დღეს ისევ ქრისტე, ღმერთი კი არა ცოდვები გტანჯავს“ – ასეთია მისი ღამეგათეული რითმები. მის ლექსებსში ყველაფერია სამშობლოდან დაწებული მთვარიანი ღამით დამთავრებული.

„გრძნობებს ფარულად ვაშიშვლებ, მაგრამ ვის უნდა, ვის?! შენ ჩემო მარტის ამინდო, შენზედ ლექსები მცლის. ახლად გასხლული ვაზი ვარ, ცრემლები ღვარად მდის...!“, წერდა ახალგაზრდა პოეტი. წელს ერთად მოვიხახულეთ სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერიც. წვიმიანი ამინდი იყო და „ხვლიკისფერი სვეტიცხოველის“ ნახვამ „დიდოსტატის მარჯვენა“ გაგვახსენა.

„-მაშ, შენ სიცოცხლე ქვაზე ნაკლებად გყვრებიაო, უტა.

-გაა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო? ქვაყ ოფილია იგი ამჟამად, უფრო უკვდავი, ვიდრე ასი ათასი მოკვდავის სული.

-მაინც სვეტიცხოველი გირჩევნია შენ ყველაფერს, უტა!“

გზაში ლექსებს ვკითხულობდით. „ლექსი დავწერე და წაგიკითხავო“, მერე აღარ წაუკითხავს.

სპარტაკი ამ ბოლო დროს ხშირად მიკითხავდა თავის ლექსებს, ან ლექსებს, რომელიც მოსწონდა. ამბობდა, რომ პოეზია მისთვის ყველაფერი იყო. როგორც პოეტი და როგორც უბრალო ადამიანი საოცრად კეთილი იყო, განიცდიდა სხვის ტკივილს და უხაროდა სხვისი სიხარული.

„რაც უფრო ვიზრდები, მით უფრო ვრწმუნდები, რომ გზა, რომელზედაც მიდიხარ, რაც უნდა ადვილი სავლელი იყოს, მაინც რთული გასავლელია, რადგან იქ უამრავი ადამიანი გხვდება წაქცეული. თუ ვინმეს წამოდგომაში დაეხმარები და მეგზურობას გაუწევ, უფრო დიდი პასუხისმგებლობა გეკისრება, რადგან გზა არ შეგეშალოს და არასწორი გზით არ წაიყვანო შენი გადარჩენილი“, მითხრა ერთხელ.

სულ მალე სპარტაკ გოქაძის ლექსების კრებული გამოვა, სათაურით: „ღამეგათეული რითმები“, სადაც მის ლექსებთან ერთად, კრებულის ბოლო ნაწილი მისი მეგობრების მოგონებებს დაეთმობა. ახლა კი გთავაზობთ ახალგაზრდა პოეტის რამდენიმე ლექსს.

ანა ჯიქია

***

„მთვარემ ჩაახვია ტბაში ნაწნავები,
ღმერთმა სიყვარული შენში ჩაადინა.
ქარმა განუწყვეტლივ შალა
ნაკვალევი,
წვიმამ მიალერსა დაჭრილს შენს
ბაღებში.
თვალებმა თვალები ბევრჯერ
დაიჭირა,
ბუდეს იშენებდი ჩემში არწივივით.
გულმა ეს ზამთარი დიდხანს
დაითმინა,
ღმერთო, რა ტკბილია ტრფობა
სიყვარულის.
ღაწვები სულ სხვაგვარად, ამაყად
ამიწითლა,
ჩემი მუზა შენ ხარ, გულის არითმია.
ბოლომდე ამავსე და ლექსიდან
გადმოვედი
ქარმა უდაბნოში წაშალა ნაკვალევი
და ღამემ უშენობით ცრემლები
დაიდინა.
ისეთი ფაქიზი ხარ, ისეთი
საყვარელი,
ღმერთმა სიყვარული შენში
ჩაადინა.“

***

„დიდხანს დამცქეროდა
მთვარე ვნებიანი,
ზღვა კი გახელებით
ტალღებს აჩქეფებდა,
თვალი შესცქეროდა არეს
სევდიანი,
მთები შორს აწვდილი
ნისლებს აბოლებდა.
გული ვერ ბედავდა ნოტებს
აყოლოდა,
მთვარე ვნებიანი ღიმილს
მაძალებდა.
როგორ – უფალს ვკითხე,
ნუთუ შემიყვარდა?!
ნუთი ჩემი ტრფობა ასე
სათუთია...
ნუთუ ღვინობისთვე მარტმა
შემიცვალა!“

***

„დაგკარგე – თუმცა არ
ვაპირებ უკან დახევას.
დავმარცხდი, მაგრამ არ
ვაპირებ წარსულზე გლოვას.
წავედი, ბრძოლით
დავირალე, მიკვნესის გული.
ალბათ გავიკვლევ მე
ოდესმე ჩემ სავალ ბილიკს....
შენ არ დაბრკოლდე, არ შეწუხდე
ჩემი ბედ-იღბლით,
არ მომიხედო გენაცვალე,
განაგრძე წინსვლა.
დიდიხანია უკვე ვხვდებით,
გაგვეყო გზები,
მაგრამ მიყვარხარ და ჩემს
არსებას არ უნდა გაცლა,
ხელი მომხვიე, ჩემს არსებას თუ
უნდა გაცლა,
ხელი მომხვიე, ნუ გამიშვებ თუ
ვლამობ წასვლას.
შენ დამიამე ტკივილები,
რომლებიც მკლავდა....
გულსაც გაჩუქებ, სულსაც მოგცემ
მერე რაღა ვქნა!....“

***

„დაცარიელდა გული ჩემი,
აკვნესდა სიო.
სიყვარულს ფუჭად დავეძებდი
შენს ბაღნარებში...
ვერვინ გამიგო, ვერვინ მისცა
ჩემს სულს ნუგეში.

მტკივა ცხოვრება, მტკივა
მწარე მახრჩობს ცრემლები,
ნეტავი რისთვის გესათუთე,
რისთვის გიხილე?!

კივის სიცოცხლე
გულზე ბზარებს მჩუქნის დღეები.
მე სული მტკივა, სული მტკივა
შენი ეკლებით.“

***

„მიწას ამოსკდა ყვავილი,
ქორფა ,სადარი მზის.
ისე და ისევ ძარღვებში
სისხლი ველური მდის,
გულაღმა წამოწოლილმა
მაღლით ავხედე მზეს
შენ მოგიგონე ლამაზო,
დარო მიწის და ცის
აფეთქებული ბაღი ხარ
ქალო ატმის და მსხლის
სიტყვა „მიყვარხარ“ არ ვამბობ
ცხოვრება მსჯის და მსჯის...
გრძნობებს ფარულად ვაშიშვლებ,
მაგრამ ვის უნდა ვის?!
შენ ჩემო მარტის ამინდო
შენზედ ლექსები მცლის.
ახლად გასხლული ვაზი ვარ
ცრემლები ღვარად მდის...!“

***

„არ დასრულდები შენ,
როგორც სივრცე.
დღევანდელ დღოთა უგვანო ხასა.
შენ გაიმეტე დღეს ისევ ქრისტე,
ღმერთი კი არა, ცოდვები
გტანჯავს.
მოლიბრო ცაო, შენ ხარ იმედი,
უნდა ვესტუმრო შენს ცისფერ
ბაღებს.
არ მიღირს ახლა ყოფიერება,
მარტო სიკვდილი თუ
გადამარჩენს.
ედემის ხეო, ხევ საოცრებავ,
ვიგემე შენი ტკბილი ნაყოფი,
გახდილი არის ახლა სამყარო,
მისი სიბილწე ყელში ამომდის.
ედემის ხეო, ტკბილო და მწარევ,
რატომ გაიდგი ნეტავ ფესვები,
გველი მითია.ცოდვილი შენ ხარ,
ეს ჩვენ ჩაგგრგვევით ჩვენი ხელებით.“

კონსტანტინე სტურუა

გარდაიცვალა აკაკი წერთლის სხელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მუშაკი, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე სტურუა.

კ.სტურუა დაიბადა 1932 წლის 14 ივნისს, ქ. ქუთაისში. 1950 წელს დაამთავრა ქუთაისის რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლა. ამვე წელს სწავლა გააგრძელა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ეხისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ლოგიკა-ფსიქოლოგიის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1954 წელს.

1954 წლიდან 1961 წლამდე მუშაობადა ლოგიკა-ფსიქოლოგიის მასწავლებლად სოფ. ქვიტირის საშუალო სკოლაში. პარალელურად (1958-1961 წლებში) მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ლაბორანტად. 1961 წელს გადაიყვანეს პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ასისტენტად, რის შემდეგაც, მისი მღვაწეობა, სიცოცხლის ბოლომდე, პედაგოგიურ ინსტიტუტთან (აწ უკვე უნივერსიტეტთან) იყო დაკავშირებული. 1969 წელს კ. სტურუა დააწინაურეს იმავე კათედრის უფროს მასწავლებლად.

1978 წლის 9 ივნისს კ. სტურუამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შემეცნებითი ინტერესების განვითარების დინამიკა მოზარდობის ასკაკში (12-15 წწ.)“, რისთვისაც მიენიჭა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1980 წელს იგი დაინიშნა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის საინსტიტუტო კათედრის დოცენტის თანამდებობაზე, როგორც კონკურსით არჩეული.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნისა და პედგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის ორად (პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის კათედრებად) გაყოფასთან დაკავშირებით, 1990 წლიდან კ. სტურუამ მუშაობა გააგრძელა ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. 2006 წელს, უმაღლესი განათლების სისტემაში ახალი აკადემიური თანამდებობების დაწესებასთან დაკავშირებით, კ. სტურუა გადაყვანილ იქნა ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად. ამ თანამდებობაზე იგი ორჯერ იქნა არჩეული (2006 და 2010 წლებში). ბოლო (2014 წლის) არჩევნებში, ჯ ანმრთელობის მდგომარეობის გამო, ბატონ კოტეს მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ განაგრძნობდა დეპარტამენტთან თანამშრომლობას, როგორც საათობრივად მოწვეული სპეციალისტი და ჩვეული პროფესიონალიზმით ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას.

ბატონი კოტე იყო გულისხმიერი პედაგოგი. მის ხელში გაიარა სტუდენტთა მრავალმა თაობამ, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით დაეუფლნენ არა მხოლოდ პედაგოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლებს, არამედ აღსაზრდელებთან თანამშრომლობითი ურთიერთობის ხელოვნებასაც.

ბატონი კოტე, პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. მისი სამეცნიერო ინტერესები, ძირითადად, ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის პრობლემატიკაზე იყო მიმართული. ამ მიმართულებით მას მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული.

წავიდა ჩვენგან ღირსეული და თავმდაბალი მამულიშვილი, კარგი მეცნიერი და პედაგოგი. მისი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის
დეპარტამენტი

ადამის მოდგმის ღირსეული წარმომადგენელი

გამოსათხოვარი სიტყვა

ქალბატონებო და ბატონებო! ჩვენ დღეს ვეთხოვებით და უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ, არა ადამიანის ფიგურასთან მიახლოებულ არსებას, არამედ ერისა და ქვეყნის შინაშე დამსახურებულ ადამიანს, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კარგ სპეციალისტს, სტუდენტი-ახალგაზრდობის მშობლიურ მზრუნველს და სამაგალითო აღმზრდელს, ადამის მოდგმის ღირსეულ წარმომადგენელს კონსტანტინე ალექსანდრეს ძე სტურუას. მასზე საუბრის დაწყებისას გალაქტიონის სიტყვებს მოვიშველიებდი: „ბევრი არის ადამის შვილი, რა ცოტა არის ადამიანი“ და იგი ამ ცოტა ადამიანშიც ოაზისივით გამოიყურებოდა. კოტე სტურუამ ნახევარ საუკუნეზე მეტი მუხლჩაუხრელად და სახელოვნად იღვაწა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიურ და სამეცნიერო ასპარეზზე. აღზარდა სტუდენტ-ახალგაზრდობის მრავალი თაობა, რომლებიც დღეს სახელოვნად შრომობენ საქართველოს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სახელმწიფო აპარატში. ისინი კოტე სტურუას სახელს კეთილად იგონებენ, ჯეროვნად აფასებენ სასიქადულო ლექტორ-მასწავლებლის ფასდაუდებელ ამაგსა და ღვაწლს. მის აღზრდილებსა და კოლეგებში და საერთოდ ჩვენს საზოგადოებაში, კოტე სტურუას სახელი აღინიშნა, როგორც ქრისტიანული სამყაროს მშვენება, რამეთუ მასაც უყვარდა გამოთქმა: ქრისტიანი, პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანიაო! აქ ნიშანდობლივი ისაა, კოტეს პიროვნება გამოდგებოდა სიკეთის, სიწმინდისა და კეთილშობილების (ემბლემად). კარგი ადამიანი რომ მოკვდებოდა აცრემლებული იტყოდა: ადამის მოდგმამ დაკარგა ერთი ღვთისნიერი შთამომავალი, ჩვენმა სამყაროს სინათლის ერთი სხივოო!.. ადამიანები ცხადია, ჩარხზე მოჭრილი დეტალივით არ ჰგვანან ერთმანეთს, და ღმერთმაც ნუ ქნას, რომ ტიპიური იყვნენ. კოტესთან მეგობრობის ისტორიიდან მინდა ერთი დეტალი მოვიგონო: საკურსო ზეპირი გამოცდები რომ ტარდებოდა, ერთმა ამხანაგმა შეხუმრებასავით უთხრა: კოტე, კვირაში რომ 200-ზე მეტი სტუდენტი უნდა გამოსცადო, მომეცი უფლება, ერთ მანეთს მე დავიტოვებ და 50 შენ გქონდესო!.. ჰოდა, ეს რომ მეორედ გაიმეორა კოტე ვულკანივით აფეთქდა და უთხრა: შენ თუ მას მართლა მეუბნები, ჩემი სახელი ამიერიდან აღარ ახსენოო, ისიც კომენტარის გარეშე სწრაფად გაუჩინარდა. ასე, რომ ადამიანები მართლაც, ტიპიურად არ გვანან ერთმანეთს, სპეციფიკურობა (კარგი გაგებით), რომ არ ყოფილიყო, მაშინ აზრი არ ექნებოდა ადამის მოდგმის არსებობას ამ ცოდვიან დედამიწაზე. კოტე სტურუას დამსახურებულად ჰქონდა კარგი ადამიანის სახელი, მაგრამ იბადება კითხვა, მაინც რა კრიტერიუმი გამოდგება კარგი კაცის სახელის საზომად?! ის, რომ დიდი ხანი იცოცხლა! არა; ის, რომ კარგი გვარისშვილი იყო! არა; ის, რომ ფიზიკურად ლამაზი იყო! არა, ის, რომ დიდი თანამდებობა და მაღალი სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა! არა; ახდა ზღაპრული გონება, რომ ჰქონდა! არა; ამ უკანასკნელს მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, იგი სიკვდილისაგან საბოლოოდ რომ გვანთავისუფლებდეს, რაკი ასეთი სასწაული არ ხდება, ამიტომ კარგი კაცის საზომად გამოდგება ის, რაც კოტე სტურუას ბუნებრივად გააჩნდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მას. ეს გახლდათ: ზნეობრივი სიწმინდე, ჰუმანურობა და მუხლჩაუხრელი შრომა. ამ ფონზე, ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ბედნიერების აზომად გამოდგებოდა კოტეს შექმნილი ოჯახი, სადაც ცოლ-ქმარს შორის სამაგალითო სიყვარული, ურთიერთგაგება და ერთგულება სუფევდა, რამეთუ მას გვეორდში ედგა ქართველი ქალის ყვნელა დედებითი თვისებებით შემკობილი ჭეშმარიტი მეგობარი ქალბატონი ნათელა გიორგაძე. მისი სრული თანადგომით შექმნა ჰარმონიული ქართული ოჯახი, სადაც მშვენიერების ოაზისად გამოიყურება ვაჟიშვილი დავითი, რძალი თეა და შვილიშვილი ნინო. ამ ლამაზი ოჯახით ნარობდა კოტე სტურუა და მისი მოსიყვარულე ადამიანებიც. აი! კოტე სტურუას ცხოვრებაში №1 ბედნიერების წყარო და გამორჩეული საფეხური! დანარჩენი ყბედნიერებები, საერთოდ ადამიანის ცხოვრებაში, გამოდგება პირველის შემავსებლად... და ბოლოს, კოტეს წარმოსაჩენად ორ მაგალითს მოვიშველიებდი: 1) თითოეულ ადამიანს გააჩნია 60 ტრილიონი უჯრედი, და, რომ შეიძლებოდეს მათი ზნეობრივ-ჰუმანური სპექტრით შემოწმება, კოტეს ყველა ყუმანური და უმწიკვლო აღმოაჩნდებოდა, მაშინ, როცა ვინმე სხვას, შეიძლება არცერთი. 20 არიან პიროვნებები, რომლებიც საქართველოს სადღეგრძელოს ხმის ჩახლეჩამდე გაყვირიან, მაგრამ ტრილიონზე, რომ ერთი ლარი აკლდეს და საქართველოს ერთ ლადარ იყიდებოდეს, არც კი დაფიქრდება და გაყიდის, მაშინ როცა, კოტე სტურუა არამც თუ გააკეკეთებდა, არც კი გაიფიქრებდა. ეს კი, გმირობის ტოლფასია და კოტეს რაინდული სულისა და სახელის უკვდავებაზე ღაღადებს!.. მით უფრო, რომ იგი ადამიანის სულის ფსიქოლოგი მკვლევარი იყო. ასე, რომ კოტე სტურუას ცხოვრების კრედოდ გამოდგებოდა გალაკტიონის სიტყვები: „სინდისის ქეჯნა არასოდეს განიცდია, ასეთ ღვთისნიერ ადამიანს ვეთხოვებით დღეს, და, თუ არსებობს სამყაროს დაყოფა: საკუთრივ საიქიოდ, სამოთხედ და ჯოჯოხეთად, შენ დღეს ჩემო მეგობარო მიემგზავრები საიქიოს სამოთხის იმ რეგიონში, სადაც ყველაზე მცირე დასახლებაა და ეს იმიტომ კი არა, რომ ექსტრემალური ბუნებრივი პირობებია, პირიქით! იქ მოხვედრა მხოლოდ შენებრ წმინდანთა ხვედრია!.. მარად ღვთისაგან ბოძებულ „წმინდანთა სავანეში“!

ოთარ ჩხეიძე

მხოლოდ შენ ერთს .....

რაც რომ შენთვის მოუძღვნია მაღლიდან ღმერთს....

მხოლოდ შენ ერთს გიძღვნი ამ სტრიქონებს ....

მხოლოდ შენ ერთს მოგეფერები იმ დიდი სითბოს საპასუხოდ, რასაც შენ, ჩემო ლალი, გასცემდი ჩემ მიმართ.

მხოლოდ შენ ერთს მინდა ჩაგჩურჩულო, რომ გული არ იტკინო, ყველაფერი დროებითია ჩვენკენ...

აი, მანდ კი ყველაფერი მარადიულია და თანამოაზრეების შეხვედრაც აღარასოდეს დასრულდება...

მხოლოდ შენ ერთმა იცი, რომ ჩვენი შეხვედრა გარდაუვალია, რამდენი რამ დაგვრჩა უთქმელი, შეუსრულებელი, განუხორციელებელი. ჰოდა ლალი, ჩემო თბილი გულის ადამიანო.

მაშინ, როდესაც შორეული ბავშვობის შემდეგ უფალმა შეგვახვედრა, კვლავ დავბრუნდით ჩვენს სამუსიკო სკოლაში შენს დაიკო ნუკრისთან ერთად, კვლავ გივი ჩუბინიძის ღირსეული ოჯახის ისტორიებს ვიხსენებდით, განსაკუთრებით ვეფერებოდით წარსულის, ბავშვობისა და ყრმობის ყოველ ლამაზ წამს.

ყოველივე ამის გახწყობას ჩვენი დღევანდელობა გვიქმნიდა ოჯახი, სამსახური, გარემო, სამეგობრო ურთიერთობები.

რა დამავიწყებს შენს მოციმციმე, ანთებულ თვალებს, როდესაც მეუღლეზე საუბრობდი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე კარგი მეგობარია და რომელზეც ახლაც 17 წლის გოგონასავით იყავი შეყვარებული.

როგორი აღფრთოვანებით მიყვებოდი შენს დაბადების დღეზე ეკასა და გიას სიუპრიზების შესახებ...

გამახსენდება 2015 წლის 15 იანვარი, საახალწლო საღამო და კიდევ ერთხელ გეფერები: რატომ წახვედი ასე ადრე, რატომ?

მხოლოდ შენ ერთს ..., მხოლოდ შენ ერთს ... , მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია ისეთი ტკბილი და გულიანი დალოცვა, რომელიც გაგვაძლიერებს.

მხოლოდ შენ ერთს ...

მადონა ნიჟარაძე

ტაო-კლარჯეთის დიალექტოლოგიური პრაქტიკისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

2015 წლის 20 ნოემბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მწვანე დარბაზში ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 2015 წლის აგვისტოში ტაოსა და იმერხევში მოწყობილი დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციის შედეგებს მიეძღვნა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: ქართული ენის მიმართულების პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე პროფ. შალვა კირთაძე, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ასოც. პროფ. ლუკა დვალიშვილი, ქართული ენის მიმართულების ხელმძღვანელი პროფ. რუსუდან საღინაძე, ქართული ენის მიმართულების პროფ. მარინე ქაცარავა, ასოც. პროფ. ეკა დადიანი, ფერეიდნელი ქართველი საიდ მულიანი.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის IV კურსის სტუდენტებმა, აგრეთვე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. კონფერენცია ორ სხდომად ჩატარდა. მოხსენებები თემატურად მრავალფეროვანი იყო; შეეხებოდა იმერხეული და ტაოური მეტყველების სხვადასხვა სფეროს: ფონეტიკას, მორფოლოგიას, ლექსიკას, იდეტობის საკითხებს... წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები:

ჟ. კვეტენაძე – ენობრივი იდეტობის პრობლემა ტაო-კლარჯეთში; ნ. ალბაიარაქი – იუსუფელის რაიონის სოფლების საქორწილო წეს-ჩვეულებები; თ. ხაცავა – ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ტაოურ დიალექტში; მ. აბულაძე – თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ტაოურ დიალექტში; ქ. ნოზაძე – მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ზმნაში ტაოური მეტყველების მიხედვით; თ. ლანჩავა – ხატოვანი გამოთქმები იმერხეულსა და ტაოურში; მ. მიქაბერიძე – ტაოურისა და იმერხეულის დიალექტური ლექსიკა; ხ. ნოზაძე – სოფელ ხევაის (ტაო) უბნების: გოდღეკარისა და ბასლიკარის მიკროტოპონიმია; მ. იამანიძე – ნათესაობის ლექსიკა იმერხეულ დიალექტში; თ. ჯალაღონია – მებოსტნეობის ლექსიკა ტაოურში; ნ. სხულუხია – მეხილეობის ლექსიკა იმერხეულსა და ტაოურში; ბ. გაბედავა – მეთევზეობის ლექსიკა იმერხეული და ტაოური დიალექტური მასალის მიხედვით; მ. ქარქაშაძე – მეფუტკრეობის ლექსიკა იმერხეულსა და ტაოურში; ე. გიგიაძე – ნადირობის ლექსიკა ტაოურში; თ. მორჩიაშვილი – ქორწილის ტრადიციები ტაოსა და იმერხევში; ვ. ხუბუა – რძის პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა იმერხეულსა და ტაოურში; ნ. დოლაბერიძე – ხორცისგან დამზადებული კერძები იმერხეულსა და ტაოურში.

შესვენებისას ნაჩვენები იყო ფოტოვიდეოკოლაჟი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ტაო-კლარჯეთში გატარებული თითოეული დღის ქრონიკა, დაუვიწყარი წუთები.

კონფერენციის ბოლოს მომხსენებლებს საჩუქრად გადაეცათ კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“ და სერტიფიკატები.

ეკა დადიანი
ასოც. პროფესორი

მთავარი რედაქტორი **გია ხოფერია**
რედაქტორის მოადგილე **ლელა ჩოგოვაძე**
კორესპონდენტი **თამარ გუმბერიძე**

ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობაში ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com

იუნესკოს მიერ დაარსებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ფილოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ვულოცავთ ბატონ ავთანდილს ამ საპატიო ჯილდოს, ვუსურვებთ შემდგომ სამეცნიერო წარმატებებს.

როგორც უკვე ვიცით მომავალი 2016 წელი წითელი მაიმუნის წელია ჩინური კალენდრის მიხედვით. თუმცა, იგი არა უშუალოდ 31 დეკემბერს, არამედ თებერვლის ბოლოს აიღებს სრულუფლებიანად მართვის სადავეებს ხელში. მაგრამ საიმისოდ, რომ მაიმუნის გული მოვიხადიროდ, მის დასახვედრად მზადებას სასურველია, დიდი ხნით ადრე შევუდგეთ. მაიმუნს ხომ მრავალფეროვნებაბ მაქსიმალური კრეატივი და თავგადასავლები ხიბლავს. ასტროლოგები თვლიან, რომ მაიმუნის წელს ჩვენთვის ახალი შესაძლებლობები, აღმოჩენები, იდეები და თავბრუდამხვევი მოვლენები მოაქვსყ მაიმუნი განსაკუთრებით სწყალობს „ტექნიკას“. მაგალითად ზუსტად წითელი მაიმუნის წელში მოხდა მსოფლიოში პირველი რადიოსიგნალის გადაცემაბ აშენდა პირველი რკინიგზა და სხვა. მაიმუნს დიდი ენერგია მოაქვს, თუმცა ადამიანებს აუცილებლად უნდა ეყოთ სითამამე და აქტიურობა საიმისოდბ რომ ამ წელს საკუთარ, ყველაზე თამამ ოცნებებს შეასრულონ ფრთები. გახსოვდეთ, მაიმუნი მხოლოდ და მხოლოდ რისკიანებსა და გაბედულებს დაასაჩუქრებს. ოცნების სახლის აშენებას გეგმავთ: საკუთარი კომპანიის გახსნა გსურთ, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა გინდათ, მაპუტუს დიალექტის სწავლა თუ თვითმფრინავის შტურვალთან დაჯდომა. წინ მეგობრებო, წინ მაიმუნის წელი ყველა თქვენს გიჟურ ჩანაფიქრს აუნთებს მწვანე შუქს. მათ კი, ვისაც პროგნოზირებადი ცხოვრება მოსწონს და სიახლეების ეშინია, შესაძლებელია, დიდი რყევები და ქარტეხილებიც დაატეხოს თავს, მარტოოდენ იმიტომ, რომ დაანახოს, რამდენად საინტერესო და მრავალფეროვანია სინამდვილეში ცხოვრება. მთავარია, საკუთარ თავს ერთ ადგილზე გაჩერების უფლება არ მისცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაიმუნის წლის ფეთქებადი ენერგეტიკა თქვენშივე გამოიწვევს შფოთვას და შინაგან კონფლიქტს, რომელიც საბოლოოდ აუცილებლად კითხვის ქვეშ დააყენებს გარშემო მყოფებთან ურთიერთობას. გამომდინარე იქედან, რომ მაიმუნს აზარტი და თამაშები იზიდავს, ახალი წლის ღამის გატარება მყუდრო გარემოში ან ვიწრო ოჯახურ წრეში აქედანვე გამოირიცხა. მაიმუნი აღმერთებს ხმაურს, მუსიკას და ფერებს. შესაბამისად, დაგეგმეთ თქვენი ახალი წელი მეგობრებთან ერთად, ორიგინალურ გარემოშიბ თუნდაც სახურავზე, ხმაურიან ფეიერვერკებთან ერთად. არ დაგავიწყდეთ სიურპრიზების მოწყობა, მაიმუნი გიჟდება იუმორსა და გათამაშებებზე. ამიტომ ახალი წლის ღამეს მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოთ როგორც თქვენი, ისე თქვენი სტუმრების მხიარული და აზარტული განწყობა.